# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 1 მარტი 2004 №45 (2064) ფასი 50 თეთრი



# ძველი ახალი ბოსი: ბოსკამპი?
## საინტერესო ვარიანტი ახალგაზრდული ნაკრებისთვის

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ცნობილია — ალენ ჟირესი, ვისთანაც კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმც ეს უახლოეს დღეებში მოხდებაო, გვარწმუნებენ.

როცა საქართველოს პრეზიდენტი საფრანგეთს ეწვევა და იქ ფიფას ალმასკომის წევრ მიშელ პლატინისაც შეხვდება, მერაბ ჟორდანია კი ალენ ჟირესთან კონტრაქტს 2006 წლამდე გააფორმებს, აქამომდელ ამბავთა გადამკიდეთ მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, ალენ ჟირესს ჩვენი ნაკრების თავკაცი ვუწოდოთ.

იქამდე კი ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ხვალზევ, ალბათ, პრესკონფერენციას გამართავს, ნაკრების მწვრთნელის თაობაზე ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს და ეროვნული გუნდის მწვრთნელად ალენ ჟირესს გამოაცხადებს.

და კიდევ: დაბრუნება — დიდი შანსია, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ჩვენი ეროვნული გუნდის ყოფილმა თავკაცმა, ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა ჩაიბაროს. არის სხვა აზრიც: ქართველ ჭაბუკებს ასევე ფრანგმა ჟან ტიგანამ უთავკაცოს. თუმც ტიგანას, ბოლო დროს ლონდონურ „ფულემს“ რომ წვრთნიდა, ეგვიპტელები უფრო მაცდურ წინადადებას — ეროვნული ნაკრების გაწვრთნას სთავაზობენ.

ასეა თუ ისე, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელზე საუბარი ჯერ ნაადრევია და მისი ვინაობა, ალბათ, ორ-სამ კვირაში გამოცხადდება.

კობა ინასარიძე

# ბალაძე სკუდეტოსკენ
## ბარსელონა რეალისკენ



REUTERS ფოტო

ლაციო — მილანი 0:1. კახა კალაძე დიდას კარს კლაუდიო ლოპესისგანაც იცავდა

კახა კალაძემ შარშან ჩემპიონთა ლიგა მოიგო და მთელი ცხოვრება სატრაბახოდ ესეც ეყოფა, მაგრამ იტალიაში, სადაც ის თამაშობს, ქვეყნის ჩემპიონობას ანუ სკუდეტოს სულ სხვა ფასი აქვს. „მილანს“ უკვე რა ხანია, არ უპირველია ნახევარკუნძულზე, ამ სეზონში კი ჩემპიონობის საუკეთესო შანსი აქვს. გუშინ მილანელმა „შავ-წითლებმა“ კალაძითურთ რომში დაამარცხეს ოთხეულისთვის მებრძოლი „ლაციო“ და რამდენიმე საათით ადრე სამ-სამ ქულა შემატებული „რომა“ და „იუვენტუსი“ ახლოს არ გაიკარეს.

არსენ ვენგერი კი ფრთხილობს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, მის „არსენალს“ პრემიერლიგის მოგებაში ვერც „მანჩესტერი“ შეეცილება და ვერც „ჩელსი“. მთავარი სა[illegible]თხე მაინც ალექს ფერგიუსონის „წითელი ეშმაკებისგან“ ემუქრებათ ლონდონელ „მეთოფეებს“, თუმც მანჩესტერელები ამ ბოლო ხანს ისე ირჯებიან, ცხრა ქულით დაწინაურებული „არსენალის“ შემვიწროვებლებს ნაღდად არ ჰგვანან — აგერ, შაბათს „ფულემს“ ქულა დაუთმეს, ვენგერის ბიჭებმა კი „ბოლტონი“ 2:1 დაამარცხეს.

ესპანეთში კი მეტად უცნაურ მოვლენასთან გვაქვს საქმე — „ბარსელონა“ „რეალის“ გასაჩემპიონებლად თავს არ ზოგავს. გუშინ კატალონიელებმა ლა კორუნიაში 3:2 დაამარცხეს „დეპორტივო“. გავიხსენოთ, რომ ერთი კვირის წინ „მესტალიაზე“ „ვალენსიაც“ შეარცხვინეს. არადა, სწორედ ეს ორნი ეცილებოდნენ მადრიდელებს პრიმერადივიზიონის პირველობას, ახლა კი „რეალი“ 8 ქულით დაწინაურდა და ვეჭვობთ, ასეთი უპირატესობა გაანიავოს. ხოლო ამ თამაშ-თამაშში „ბარსელონამ“ ზედიზედ 6 მატჩი მოიგო და მეოთხე ადგილს კი არა, ვინძლო, მეორეობასაც გამოჰკრას ხელი.

გიო ახვლედიანის

სვეტი

# ბრაზილიაში გასაყიდად

მაშ, ჯერ არ დანიშნულა, მაგრამ მაინც დანიშნულია ჩვენს მწვრთნელად ალენ ჟირესი.

ახლა, ალბათ, ჩამოვა და კონტრაქტსაც ხელს მოაწერს. ალბათ იმიტომ, რომ მთელი ზამთარია, „ალბათ" ამბავია და თუ კარგად ჩაუკვირდები ამ ამბავს, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. საერთოდ, მე მგონია, რომ მთელი ეს ისტორია ბრაზილიაში უნდა წავიღოთ და გავყიდოთ. მოკლე შინაარსი ორ გვერდზე დაეტევა და დიდად მოეწონებათ იქაურ სერიალის გადამღებ კომპანიებს. ღმერთმა დამიფაროს, ამას ქილიკით ან რაიმე ამგვარი განწყობით ვამბობდე. სულაც არ მიყვარს ვინმეს და რაიმეს დაცინვა. დაცინვა, საერთოდ, უღირსი რამეა. უბრალოდ, მთელს ამ ჩვენს მწვრთნელის დანიშვნის ისტორიას რომ გაადევნებ თვალს, ანრი მიშელიდან ალენ ჟირესამდე, თავისი თუთუმლუებით, მიშელ პლატინის ავტორიტეტით, ხიმკიში დასახლებული ბიშოვეცით, ვარდების რევოლუციით, მერაბ ჟორდანიას დატუსაღებით და გათავისუფლებით, მოსამართლეებით, აბრამოვიჩებით, კვიპროსებით, ლონდონებით, გრენლანდიაში დამჯდარი პრეზიდენტით (საერთოდ, ამ ისტორიაში ბევრი მიშელია. თუ ფრანგულად შევხედავთ) და ასე დაუსრულებლად, უკეთესი ტელესერიალი ძნელი წარმოსადგენია.

ამ ამბავში ინტრიგაც არის, სიყვარულიც, სიძულვილიც, პოლიტიკაც, მაქინაციაც, ქურდებიც, პოლიციელებიც, მილიარდერებიც, ერთგული მეგობრებიც, მოღალატეებიც, ფეხბურთის ვარსკვლავებიც და პოლიტიკოსებიც. მთავარი გმირი კი მერაბ ჟორდანიაა, რომლის ზურგზეც გადაიარა მთელმა ამ ისტორიამ.

სხვანაირად ვერც იქნებოდა.

თავად მწვრთნელის ძიების ამბავი ძალიან საინტერესო იყო. სხვა საქმეა, რომ ჩვენ ყველანი განვიცდიდით, რა იქნებოდა და როგორ. ხომ ყოველთვის უკეთესი გინდა?! ის პირველი, ანრი მიშელი ყველაზე კარგი ვარიანტი ჩანდა. როგორც მწვრთნელი, რა თქმა უნდა, თორემ ჩვენთან ხომ ერთ დანიშნულ კაცს იმხელა შლეიფი წამოჰყვება ხოლმე, რომ იმაზე ფეხის დაბიჯებას ველარც მოახერხებ. ბიშოვეცი ნაკლებად. ნაკლებად, სერ, მაინც იქაურიაო, ერთი და მეორეც ოფოფებიანი კაციაო, ძნელად სალაპარაკოაო. მწვრთნელობის საკითხი უკან იყო. ახლა ჟირესი. როგორია ჟირესი? ერთი კადრი მახსოვს, პსჟ-ს მწვრთნელობისას დიდი პალტო ეცვა და ჩხუბობდა მოედნის კიდეზე. მეტი არ მახსოვს, კარგი ფეხბურთელი იყო და პლატინის ძმაკაცია. ბოლოს და ბოლოს, ინიშნება და ვნახოთ.

ისიც ვიოცნებოთ, რომ მისი ქართული თავგადასავალი ბრაზილიაში არ გაგვიხდეს გასაყიდი. აბა, ვნახოთ ჟირესი. საერთოდ კი, ერთმანეთს სიმშვიდე ვუსურვოთ.

# ქართველებმა ლაუტერნის ნერვი იქით მოკლეს



ორი გახარებული და ერთი დაბოღმილი:
იაშვილ–ცქიტიშვილი და „კაიზერსლაუტერნის" მეკარე ტიმ ვიზე

*ქართველების დღე იყო გუშინ ფრაიბურგში, სტადიონზე ჩვენი ხუთჯვრიანი დროშაც ფრიალებდა — ფოლკერ ფინკეს გუნდმა მეტად პრინციპული მატჩი მოუგო შინ „კაიზერსლაუტერნს" — ერთადერთი გოლი 11-მეტრიანით ცქიტიშვილმა გაიტანა, ხოლო პენალტი იაშვილმა მოინადირა*

ნამატჩევს ფრაიბურგში დავრეკეთ და ჯერ *ლევან ცქიტიშვილს* დავეკითხეთ პენალტის წინა და შემდგომ ამბებზე.

— 11-მეტრიანის დარტყმამდე შენთან „ლაუტერნის" მეკარე ტიმ ვიზე მოვიდა და რაღაცეებს გელაპარაკებოდა...

— ვიზე ჩემთან იმისთვის მოვიდა, ნერვები რომ აშლოდა და პენალტი ვერ გამეტანა. მას ისეთი არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ფსიქოლოგიური ზემოქმედება სურდა.

— პენალტი რომ გაიტანე, მერე შენ თვითონ უთხარი ვიზეს რაღაც-

— ვიზეს ის ვუთხარი, რისი ღირსიც იყო.

— ამის შემდეგ „ლაუტერნის" სლოვენიელი მცველი ალექსანდრ კნავსი მოგეჭრა — მას რაღა უნდოდა?

— ვიზეს გამოექომაგა.

— მსაჯმა ვიზესთან თუ კნავსთან შელაპარაკების გამო გაგაფრთხილა?

— ალბათ ორივესთან შელაპარაკების გამო.

*ალექსანდრე იაშვილი:* მთავარი ჩვენთვის მოგება იყო და ეს მოვახერხეთ. თუმც ორი საგოლე მომენტი მქონდა და რომ გამეტანა, რა თქმა უნდა, უფრო გახარებული ვიქნებოდი.

— ჯერ ძელს გაარტყი ბურთი, მერე ოდნავ ააცილე კარს — ორივე მომენტი მატჩის მიწურულს იყო და მათი არგამოყენება დაღლას დავაბრალოთ?

— არა, უბრალოდ, პირველ მომენტში ძნელი იყო ზუსტად დარტყმა, მერე კი მილიმეტრებით ავაცილე კარს — გოლის გატანას ცოტა იღბალიც უნდა.

— „ლაუტერნი" პირველი ტაიმიდანვე კაცნაკლული დარჩა — დომინგუში გააძევეს, თუმც „ფრაიბურგს" მაინც ძალიან გაუჭირდა მეტოქის დამარცხება...

— ათი კაცის წინააღმდეგ თამაში ადვილი სულაც არაა — მთელი გუნდი თავს იცავდა, „ლაუტერნის" საჯარიმოში ხუთი მცველი სულ იდგა და იქ შეღწევა ძნელი იყო.

— ჩვენს დროშას ვინ აფრიალებდა ტრიბუნაზე — „ფრაიბურგის" გერმანელი თუ ქართველი გულშემატკივარი?

— ვერ გეტყვით. ისე კი, „ფრაიბურგის" თამაშებზე ქართველები სულ დადიან.

**დავით თავართქილაძე**

# რეინჯერსის საცოდაობა
## ხიზანიშვილი იქ იყო და რატომ არ იყო?

**„გლაზგო რეინჯერსის"** საქმეები ცუდად მიდის — გუშინ „ჩაფრებმა" სტუმრად 0:2 წააგეს „დანდი იუნაიტედთან", ამ სეზონში ერთ-ერთ უცუდესი მატჩი ჩაატარეს, შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს კი არ უთამაშიათ — ისინი განაცხადშიც არ იყვნენ. სწორედ ამის გამო შევეხმიანეთ არველაძეს.

— მუხლი კარგა ხანია მაწუხებს, ბოლო ერთი კვირაა, არც კი მივარჯიშია. ტკივილს არ გაუვლია, მაგრამ 7 მარტს „სელტიკთან" გვაქვს სათასო მატჩი და აუცილებლად უნდა ვითამაშო.

— **ხიზანიშვილი რატომ არ იყო განაცხადში „დანდი იუნაიტედთან"?**

— ზურა ჯანმრთელადაა და ალექს მაკლიშმა დანდიშიც წაიყვანა, მაგრამ ვერ გამიგია, რატომ არ შეიყვანა განაცხადშიც კი.

— **„სელტიკთან" 7 მარტს რაიმე შანსი აქვს „რეინჯერსს"?**

— „სელტიკის" დამარცხება ძალიან ძნელი იქნება. ამ სეზონში „სელტიკს" გუნდური თამაში გაცილებით უკეთ გამოსდის, ვიდრე ჩვენ.

**დავით თავართქილაძე**

### იტალია

სერია A. XXIII ტური

ლაციო 0:1 მილანი

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXVI ტური

ოსერი 1:1 პსჟ

# დავით ყიფიანის თასი
## მეთერთმეტედფინალი
## საპასუხო მატჩები. ანონსი

ლაგოდეხი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

**სკ თბილისი — მცხეთა (0:1)**

მსაჯები: მ. მაისურაძე (თბილისი); შ. ქუხილავა (სოხუმი), ზ. ბერულავა (გალი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი

თბილისი. 1 მარტი. 14 საათი. ეროვნული

**ვიტ ჯორჯია-მცხ. — დინამო (0:3)**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. მჭედლიშვილი

ჭაბუკიანი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

**ჰერეთი — ცხინვალი (1:2)**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ფიფია (გალი), ლ. თოდრია (თბილისი); დ. კურტანიძე (სურამი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. სიჭინავა

რუსთავი. 1 მარტი. 14 საათი. ფოლადი

**გორდა — ლოკომოტივი (3:3)**

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე; მ. მალაღურაძე (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. ოქროშიძე

ზესტაფონი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

**მეტალურგი — მერცხალი (0:0)**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ჯ. ზეინკლიშვილი

გრიგოლეთი. 1 მარტი. 14 საათი. საწვრთნელი ბაზა

**გურია — ტორპედო (0:5)**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. კოკაია (მარტვილი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ე. ნარმანია (ტყვარჩელი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ჩინოიანი

ბათუმი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

**ლუკა — სამგურალი (0:0)**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ტყემალაძე (ხობი), ე. გოგინავა (სენაკი); ზ. ერქვანია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. მირცხულავა

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. მაუდი

**ურიონი — ამერი (0:2)**

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. წიკლაური, ვ. გუმბერიძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ქელიძე

ქუთაისი. 2 მარტი. 14 საათი. დინამო

**დინამო ქუთაისი — კოლხეთი (0:4)**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი), ზვ. ასკაროღლი (ქარელი); თ. ხუჭუა (სამტრედია); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ქორიძე

ხაშური. 2 მარტი. 14 საათი. გრიგოლ ჯომართიძე

**ივერია — სიონი (0:2)**

მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ასკაროღლი; გ. ასკაროღლი (ორივე ქარელი); სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

სამტრედია. 2 მარტი. 14 საათი. ეროსი მანჯგალაძე

**სამტრედია — ქობულეთი (0:5)**

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); დ. კვეტენაძე (ზესტაფონი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

ძველი ანაგა. 2 მარტი. 14 საათი

**მილანი — თბილისი (0:2)**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. კურტანიძე

მუხრანი. 2 მარტი. 14 საათი

**პრემა — სპარტაკი (0:1)**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ჭიჭინაძე; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. ლოკომოტივი სათადარიგო მოედანი

**ჩიხურა — ვიტ ჯორჯია (0:1)**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ხ. გაგნიძე (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. 2 მარტი. 14 საათი. ოლიმპი

**ავაზა — დილა (0:1)**

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. ნონიკაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ზუგდიდი. 2 მარტი. 14 საათი. ცენტრალური

**დინამო ზუგდიდი — დინამო ბათუმი (0:3)**

მსაჯები: ი. კახიანი (თბილისი); კ. ბერაძე (სამტრედია), გ. მეტივიშვილი (ხაშური); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: ტ. ნიშნიანიძე

# დავით ყიფიანის თასი

**მეთექვსმეტედფინალი. პირველი მატჩები**

# გოლები ნოდარის ძისა



გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის დარტყმას მილანელმა მეკარემ მამუკა ნაყოფიამ თვალი და ხელი გააყოლა

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ისანი. 400 მაყურებელი

## თბილისი 2:0 მილანი

1:0, 2:0 გ. ნოდ. ჭელიძე (11, 61)

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ლოლაძე (ტომარაძე 84), ელიავა, ქემოკლიძე, გ. ნოდ. ჭელიძე, დ. ოდიკაძე (ჯიქია 79), სიდამონიძე, გ. ნუგ. ჭელიძე (თ. ბარამიძე 53), გოგიტა გოგუა, ხოჯავა, მიკუჩაძე
*სათადარიგოები:* ნაჭყებია; მიქიაშვილი, გეწაძე, მესხი
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**მილანი:** ნაყოფია, გიორგაძე, ო. გვაზავა, იოსავა, კუპრაშვილი, მეტონიძე, დ. ქირია (მჭედლიშვილი 75), გ. ქირია, გობეჯიშვილი, ტორონჯაძე, ბაკარანძე
*სათადარიგოები:* მახარაშვილი; ნარიმანიძე, ბოჭორიშვილი, სუხაშვილი, ტეტიაშვილი, გლურჯიძე
**მწვრთნელი:** ლერი ბაკაშვილი

**გაფრთხილება:** გიორგაძე (4), ოდიკაძე (9), გ. ნოდ. ჭელიძე (77), ელიავა (89)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

დავით ერაძე

**„თბილისის“** სარბიელს მშვენიერი გაზონი აქვს, იქ თამაში ყველასთვის სასიამოვნოა და თვალსასეირო მატჩებიც იმართება.

შეხვედრამ „თბილისის“ საგრძნობი უპირატესობით და „მილანის“ კონტრჩხვლეტების თანხლებით ჩაიარა. „თბილისს“ ცენტრში აშკარად აკლდა ტრავმირებული აფციაური, გივი კვარაცხელიას კი ჯერაც არ ჩამოსვლია გათავისუფლების ფურცელი და ისიც ვერ დაეხმარა თანაგუნდელებს. ამ ორი ფეხბურთელით გუნდი კიდევ უფრო მოღონიერდება. დაცვის ხაზი გააძლიერა ქემოკლიძემ, პროგრესი იგრძნობა ელიავას თამაშში.

თბილისელებმა ანგარიში მე-11 წუთზე გიორგი ნოდარის ძე ჭელიძის გოლით გახსნეს. გონივრული პასი მიკუჩაძისა იყო. პირველ ტაიმში ერთი ლამაზი ეპიზოდიც იყო — გოგუას მიერ ცხრიანში გასროლილი ბურთი ნაყოფიამ ძნელი ნახტომით მოიგერია. მეორე ნახევარიც „თბილისის“ სრული უპირატესობით დაიწყო. ჯერ მიკუჩაძეს არ გამოუვიდა ახლო მანძილიდან დარტყმა, შემდეგ გოგუას დარტყმული ბურთი ბადეს გვერდიდან მოხვდა. 61-ე წუთზე თბილისელები ისევ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძემ აზეირა: ნაყოფიას მოგერიებულ ბურთს თავური შეაგება — 2:0. „თბილისს“ შეეძლო, ანგარიშისთვის სოლიდური სახეც მიეცა, ხოჯავა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ...

ორბურთიანი უპირატესობა „თბილისს“ საპასუხო მატჩის წინ საგრძნობ ფორას აძლევს.

# პრემიერა პრემასთან

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპიკი. 200 მაყურებელი

## სპარტაკი 1:0 პრემა

1:0 მაღლაფერიძე (5)

**სპარტაკი:** დევაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ა. იმნაიშვილი, ჩიკვილაძე, ალადაშვილი, ლ. ვაშაკიძე, ჯანგიძე (ტაბიძე 75), კვერენჩხილაძე (კოტრიკაძე 68), მაღლაფერიძე (მჭედლიშვილი 80), ტატანაშვილი
*სათადარიგონი:* გრძელიძე; ს. შელია
**მწვრთნელი:** მურთაზ ხურცილავა

**პრემა:** ჯანიაშვილი, ფილიპოვიჩი (მირზიაშვილი 10), გალეშაშვილი, ქემაშვილი, გ. ჩიმაკაძე, ხიდაშელი (ბაჩილავა (81), დ. კანდელაკი, გამცემლიძე, პიპილაშვილი, გოგისვანიძე (მეზვრიშვილი 66), მაზანაშვილი
*სათადარიგონი:* ცარციძე, ფეიქრიშვილი
**მწვრთნელი:** ამირან მინაშვილი

**გაფრთხილება:** გამცემლიძე (35), დევაძე (58), კოტრიკაძე (85)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

ლუკა თალაკვაძე

**მურთაზ ხურცილავას** სპარტაკული დებიუტი წარმატებული გამოდგა. განახლებული სეზონის პირველ მატჩში „სპარტაკმა“ 1:0 მოუგო რეგიონალლიგელ „პრემას“. ანგარიში უფრო დიდიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ მასპინძლებმა მეტის გატანა ვერ შეძლეს.

„სპარტაკი“ „პრემას“ გამძლეობითა და კლასით სჯობდა, თუმცა, ცხადია, კლასი იმდენად მაღალი არ იყო, რომ წუნი ვერ შეგვენიშნა. შეცდომები ორივე გუნდს ჰქონდა, ოღონდ ამ საქმეში „პრემა“ უფრო „გამოირჩა“.

გოლი ნაადრევად გავიდა. დავით მაღლაფერიძემ მე-5 წუთზევე დააღონა რეგიონალლიგელები. ეს იყო და, „სპარტაკს“ მეტად აღარ გაუხარია. არადა, შანსი ბლომად ჰქონდათ. ალადაშვილს, კვერენჩხილაძეს, ტატანაშვილს და იმავე მაღლაფერიძეს პირველივე მატჩში შეეძლოთ მერვედფინალისტის ვინაობის გარკვევა.

მომენტები „პრემამაც“ შექმნა. მართალია, ცოტა, მაგრამ ერთი-ორჯერ „ძველი“ აკაკი დევაძე ვნახეთ.

ერთი სიტყვით, ამ წყვილის ბედი საპასუხო მატჩში გაირკვევა. მანამდე კი „სპარტაკზე“ ამასაც გეტყვით: გუშინწინდელ მატჩში არ გამოჩენილან თბილისის „დინამოდან“ გადაბირებული ირაკლი სამხარაძე და კობა შალამბერიძე, ასევე არ უთამაშია გიორგი კიკნაძესაც, რომელიც ახალ თანაგუნდელებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

ასე რომ, „სპარტაკს“ რეზერვი ეგულება. სამხარაძე-შალამბერიძე-კიკნაძის სამეული უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდისთვის პატარა ძალა არ უნდა იყოს. შეიძლება ითქვას, რომ მურთაზ ხურცილავას სიმპათიური, მებრძოლი და პერსპექტიული გუნდი ჰყავს. დანარჩენი მერე გამოჩნდება...

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ლოკომოტივი. 200 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 1:0 ჩიხურა

1:0 მარცვალაძე (90)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კუპრეიშვილი, ლ. მერებაშვილი, იმედაშვილი, გველესიანი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ი. შენგელია (ვ. გოჩაშვილი 62), დეკანოსიძე, რ. გოცირიძე, ადამია (მარცვალაძე 75)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; კვახაძე, ინწკირველი, მალიჩავა, დათუნაიშვილი
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**ჩიხურა:** მიქაცაძე, გ. ილურიძე, [illegible], [illegible] (ო. ჭილლაძე 76), შუკაკიძე, სტეფანიშვილი (ი. ჭილლაძე 85), კ. გოგოლაძე, დ. გოდერძიშვილი (ს. არჩვაძე 88), გ. ჩხაიძე
*სათადარიგონი:* მეგრელიშვილი; მწყერაშვილი, ყაველაშვილი
**მწვრთნელი:** სპარტაკ არჩვაძე

**გაფრთხილება:** გოჩაშვილი (89)

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

# გოლი წუთის მარცვალი



ოთარ მარცვალაძე

დავით თავართქილაძე

საჩხერის „ჩიხურას“ შემადგენლობას თუ გადახედავთ, რამდენიმე ცნობილ გვარსაც ამოიკითხავთ — გოჩა გუჯაბიძესა და გია ჩხაიძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში უთამაშიათ, კახა გოგოლაძეს კი თურქმენეთისაში. ჩიხურელებს საქართველოს ჩემპიონატში გამობრძმედილი სხვა ფეხბურთელებიც ჰყავთ და, პირველლიგელი გამოუცდელი გუნდიაო, ვერავინ იტყვის. თუმც „ჩიხურას“ სიმსუბუქე და მხნეობა აკლდა ვიტელებთან მატჩში და ვინძლო ამის გამოც გაუშვა ბურთი ბოლო წუთზე.

„ვიტ ჯორჯიასგან“ კი მეტს ველოდით — ამ შეხვედრაში ის მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ გუნდს არ ჰგავდა, მაგრამ შეკრების მერე ეს პირველი მატჩი იყო და ვიტელთა შესაძლებლობები აწი უფრო კარგად გამოჩნდება. ისიცაა, რომ სათასო მატჩები განსაკუთრებულია და ქვედალიგელებიც განსაკუთრებული იშტით ეპაექრებიან უმაღლესლიგელებს.

ვიტელებს მალევე უნდა ეხეირათ, მაგრამ ლევან მერებაშვილს „ჩიხურას“ მეკარე მიქაცაძემ აუღებელი თავური აუღო.

„ვიტ ჯორჯია“ ზეწოლას განაგრძობდა, თუმც მოედნის ცენტრში ბურთის კარგად, სწრაფად გათამაშება არ გამოსდიოდა, უფრო ფლანგებიდან თუ ახერხებდა თამაშის გამწვავებას. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას ოლეგ გველესიანის ჩაწოდებულზე რევაზ გოცირიძე კარგად აიწია ჰაერში, მაგრამ თავით ააცილა მიზანს.

სხვა რამ გამოსარჩევი პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯიას“ არ შეუქმნია, ჩიხურას კი ერთხელ მიეცა შანსი — გოგოლაძემ შორეული პასისას ბურთი ვერ დაიმორჩილა, თორემ მირზა მერლანთან მოუწევდა დუელი.

მეორე ტაიმი ოდნავ თვალსასეირო გამოდგა. ვიტელთა მარცხენა ფლანგზე გველესიანი გააქტიურდა, ვისი ჩაწოდებით გოცირიძეს ცაციათი შეეძლო გატანა, მაგრამ „ჩიხურას“ მეკარემ პოზიცია სწორად შეარჩია და ბურთი ხელებში გააქვავა.

ამის მერე გოცირიძემ და ადამიამ მეტოქის საჯარიმოში კარგად გაითამაშეს ბურთი, დამაგვირგვინებელი დარტყმა კი ლაშა ნოზაძისა იყო, ვინც ოდნავ ააცილა „ჩიხურას“ კარს.

და საჩხერელთა ორი კონტრშეტევაც: ილურიძის მახვილი კუთხიდან დარტყმული მერლანმა ფეხით მოიგერია, ხოლო გოგოლაძის თავურმა ძელ-ხარიხას გადაკვეთას ჩაუზუზუნა.

მატჩის დამთავრებას თხუთმეტი წუთიღა აკლადა, როცა ვიტელთა დამრიგებელმა ზურაბ ბერიძემ მოედანზე ოთარ მარცვალაძე შეუშვა. მარცვალაძეს ბოლო წუთამდეც ჰქონდა შანსი — „ჩიხურას“ საჯარიმოში ერთი მცველი ჩამოიტოვა, თუმც ოდნავ უხერხული მდგომარეობიდან რიგიანად ვერ დაარტყა.

ბოლო წუთზე კი მერლანმა დაახლოებით ოთხმოცმეტრიანი პასი იკისრა, „ჩიხურას“ მეკარე-მცველებმა ჩათვლიმეს, მარცვალაძემ კი იყოჩაღა და სენსაციაც არ გამოვიდა.

გრიგოლეთი. 28 თებერვალი. 14 საათი. საწვრთნელი ბაზა

**კოლხეთი** ფოთი **4:0 დინამო** ქუთაისი

რუსთავი. 28 თებერვალი. 14 საათი. ფოლადი

**სიონი** ბოლნისი **2:0 იბერია** ხაშური

სამტრედია. 28 თებერვალი. 14 საათი. ეროსი მანჯგალაძე

**ქობულეთი** ქობულეთი **5:0 ლოკომოტივი** სამტრედია

თბილისი. 28 თებერვალი. 14 საათი. ოლიმპი

**დილა** გორი **1:0 ავაზა** თბილისი

ბათუმი. 28 თებერვალი. 14 საათი. დინამო

**დინამო** ბათუმი **3:0 დინამო** ზუგდიდი

# არ დაიდარდო კიევურად

## ამისულაშვილი დაამშვიდეს: შენ ითამაშებ!

*ბოლო კვირაა, ერთ-ერთი აქტუალური თემა ალეკო ამისულაშვილის ტრანსფერია. ქართველმა მცველმა კიევის „დინამოსთან“ კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი, მაგრამ თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ამ ტრანსფერის ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულა. გუშინ ამ საქმეში გასარკვევად თავად ალეკოს შევეხმიანეთ...*



— გავიგე, რომ ჩემს ტრანსფერთან დაკავშირებით პრობლემები შეიქმნა და კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობას მივმართე. მათგან კი საკმაოდ მშვიდი პასუხი მივიღე — შენ ჩვენს კლუბთან კონტრაქტზე ხელი მოწერილი გაქვს და თუ თქვენს ფედერაციას და თბილისის „დინამოს“ რაიმე აქვთ გასარკვევი, ამას ჩვენს გარეშე გააკეთებენო. აქ მეუბნებიან, რომ უკრაინის ჩემპიონატში და თასზე თამაშს უპრობლემოდ შევძლებ. იგივე მითხრა კიევში ჩამოსულმა მამაჩემმა, რომელსაც სიტუაციაში უკეთ გარკვევა სურდა. მთავარია, რომ კონტრაქტზე ხელი მოწერილი მაქვს, ამ შემთხვევაში კი ავტომატურად ამოქმედდება ფიფაუეფას ფეხბურთელის უფლების დაცვის პროგრამა, ასე რომ, კიევის „დინამოში“ ჩემს თამაშს ხელს უკვე ველარაფერი შეუშლის.

— ესე იგი, ამ თემაზე საუბარი კლუბშიც გქონდა...

— კი და დამამშვიდეს, რომ ამის თაობაზე სანერვიულო არ მაქვს, ვინაიდან ორ „დინამოს“ თავისი უკვე გარკვეული აქვს და მე პრობლემა აღარ შემექმნება.

— გუშინ ამერიკულ „დალასს“ ლა მანგას თასზე ეთამაშეთ...

— ჯგუფში პირველ ადგილზე გასასვლელად ფრე და ერთი ბურთით წაგებაც ხელს გვაძლევდა. მიუხედავად ამისა, მთელი თამაში დიდ უპირატესობას ვფლობდით, მე მეორე ტაიმიდან ვითამაშე და ერთი ნაღდი საგოლე მომენტი გამიცუდდა — ჩემი თავური დარტყმა ცარიელი კარიდან მცველმა გამოიტანა. საერთოდ, მიხაილიჩენკომ შეტევებში უფრო აქტიურად ჩართვა მომთხოვა და ერთი ჩემი ჩაწოდებისას ვერპაკოვსკისის თავურით გოლიც გავიდა.

— 1 მარტს ბოლო ამხანაგურ მატჩს თუ გამართავთ?

— ამ დღეს ამერიკული ლიგის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კლუბ „მეტროსტარზს“ შევხვდებით, საღამოს კი კიევში დავბრუნდებით.

**დავით ერაძე**

# დარასელიას ფრანგული საუბარი და ინგლისური ვარჯიში



უკვე ერთი კვირაა, *ვიტალი დარასელია* დუბაიში მყოფ „ალანიას“ შეუერთდა. ოსთა გუნდი იქ 2 მარტამდე დარჩება, შემდეგ მზადებას ვლადიკავკაზში განაგრძობს. 7 მარტიდან კი რუსეთის თასის გათამაშებაც იწყება.

ქართველი ფეხბურთელი „ალანიას“ უკვე გაუშინაურდა, მას აგრძნობინეს, რომ სჭირდებათ, ეს კი, ვინც ვიტალის ხასიათს კარგად იცნობს, იმის გარანტიაა, რომ ვიტალიმ თავი არ დაზოგავს.

— ძალიან თბილი დახვედრა მომიწყვეს. კურბისმა ცალკე გამიხმო და საკმაოდ დიდხანს მესაუბრა. გამომკითხა, სად მითამაშია, მითხრა, ვიცი, თქვენმა ნაკრებმა როგორც ითამაშა, მაგრამ მაინტერესებს, რამდენი ხანი დაყავი მოედანზეო. როცა გაიგო, რომ სამივე მატჩი სრულად ვითამაშე, გაუხარდა. მითხრა, რომ ახლა ფიზიკაში მომატება მჭირდება და ინდივიდუალური გრაფიკით მომამზადებს.

— დიდი დატვირთვებია?

— დღეში ორჯერადი ვარჯიშები ფიზიკურ გამძლეობაზე აქცენტით. ლონდონის „არსენალიდან“ სპეციალურად ჩამოიყვანეს ფიზმომზადების მწვრთნელი და ვინც შეკრებაზე დავიგვიანეთ, სიქას გვაცლის.

— თანაგუნდელებს როგორ შეეგუე?

— საერთო ენის გამონახვა არ გამჭირვებია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველას დიდი ხანია, ვიცნობ. მოკლედ, ადაპტაციის მხრივ პრობლემა არ მქონია. ოთახში გვაზავასთან ერთად ვცხოვრობ. საერთოდ, „ალანია“ ზღაპრულ პირობებში ემზადება. ფეხბურთელებს ვარჯიშის მეტი საფიქრალი არაფერი გვაქვს.

— ამხანაგურ მატჩებს გამართავთ?

— ახლა მხოლოდ ვარჯიშებით შემოვიფარგლებით, 2 მარტს კი ვლადიკავკაზში ვბრუნდებით. 7 მარტს რუსეთის თასზე ვთამაშობთ.

— კონკურენცია დიდია?

— ახლახან „მონაკოს“ მეკარე შეიძინეს, აფრიკის თასზე თავგამოჩენილი ორი ფეხბურთელიც ჩამოიყვანეს. მოკლედ, სერიოზული გუნდი კეთდება და მიზნად რუსეთის ჩემპიონობას და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ისახავენ. რაც შეეხება კონკურენციას, ვიცოდი, რომ ალანიაში“ ეს არ მომაკლდებოდა, თუმცა თუ გინდა, გაიზარდო და კლასი დაამტკიცო, კონკურენციასაც უნდა გაუძლო. უკან, ცხადია, არ დავიხევ და მჯერა, რომ ვითამაშებ.

**დავით ერაძე**

# მენთეშაშვილმა სკონტო მოაგვარა

**ქართველებით** შევსებული რიგის „სკონტო“ თურქულ ანთალიაში შეკრებაზე წასვლამდე ვილნიუსის „ჟალგირისს“ გაეჯიბრა ამხანაგურად. უხვგოლიანი მატჩი ჰოკეის ანგარიშით, 4:4 დასრულდა. „სკონტოში“ ითამაშა სამივე ქართველმა — გიორგი ყიფიანმა, ზურაბ მენთეშაშვილმა და ლევან კორღალიძემ, თუმც ეს უკანასკნელი ძირითადში არ იყო. მან 65-ე წუთზე შეცვალა რიგელთა ახალწვეული ყიფიანი. „სკონტო“ კი პირველ ტაიმს 2:4-ს აგებდა და ანგარიში 89-ე წუთზე დედურამ გაათანაბრა.

ამ ინფორმაციიდან საინტერესო ისაა, რომ ვლადიკავკაზის „ალანიადან“ „სკონტოში“ მიბრუნებულმა მენთეშაშვილმა უკვე ყველაფერი მოაგვარა და ლატვიურ კლუბში იჯარით ერთი წელი ითამაშებს. ოსებსა და რიგელებს შორის მოლაპარაკება წარმატებული გამოდგა.

6 მარტს „სკონტო“ ანთალიაში გაემგზავრება, მეორე დღეს კი ამხანაგურ მატჩში რატი ალექსიძის „როსტოვს“ შეხვდება.

**ბაჩა შალამბერიძე**

დიდი „დინამოს“ ღირსეულ წევრს, ფეხბურთის კლუბ „ამერის“
მთავარ მწვრთნელს თამაზ კოსტავას ვულოცავთ დაბადების
დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და
წარმატებებს სამწვრთნელო სარბიელზე.

*სარბიელელები*

# EXCLUSIVE




მოგესალმებით, ახალგაზრდებო. დღეს ჩვენი ლექციის თემაა სირცხვილი. არა, „სირცხვილი და თავის მოჭრა“ კი არა, ჩვეულებრივი სირცხვილი, გრძნობა, რომელიც... ბატონო? რატომ იცით ეს ადგილიდან წამოძახება, ვინ დაგიშალათ, აიწიეთ ხელი, ადექით და თქვით, რისი თქმაც გინდოდათ. დაასრულეთ აზრი, თქვენ წამოიძახეთ, რომ ეს არის გრძნობა, რომელიც ჟურნალისტს არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ცდებით. ეს არის გრძნობა, რომელიც არ უნდა ჰქონდეს ქართველ ფეხბურთელს იმიტომ, რომ ის ყველა თამაშს აგებს, ხოლო სირცხვილის პირობებში ასეთ სტაბილურობას ვერაფრით მიაღწევდა. რაც შეეხება ჟურნალისტს, ეს გრძნობა დიახაც, უნდა ჰქონოდა, ოღონდ თუ... სპორტული ჟურნალისტია.

დიახ, დიახ, გაგიკვირდათ? კი მაგრამ, რა არის აქ გასაკვირი. განა სპორტულ ჟურნალისტს არ უნდა რცხვენოდეს, მეტი რომ ვერ გაქაჩა? წარმოიდგინეთ, ჟურნალისტი გერქმევათ თქვენც და მასაც, ვინც თვით ტელევიზიით თუნდაც ამინდის პროგნოზს აცხადებს. ნამდვილად სირცხვილია, თქვენ უეჭველად უნდა დაკომპლექსდეთ.

მეორე მხრივ კი, ყმაწვილებო, აუცილებლად უნდა აღშფოთდეთ კიდეც. განა თქვენ და ის, ზოგადი ტელე ან თუნდაც საგაზეთო, ოღონდ პოლიტიკური ჟურნალისტი, ერთნაირად გაუნათლებლები არ ხართ? განა ორივე თქვენგანის განათლება სუფრებზე ყურმოკრულით არ შემოიფარგლება? მაშ, რატომ არის ის ეკრანზე, თქვენ კი ვერტყვიჭალის სტადიონზე სიცივეში ზიხართ, უნიფხოთა თამაშს უცქერთ, ხელში ბლოკნოტი გიჭირავთ, ჯიბეში ორი ლარი გიდევთ და თბილისში ჩამოყვანაზე იმ გუნდის ადმინისტრატორს უნდა ელრიჯოთ, ლურჯი ნიფხვები რომ უნდა სცმოდათ, მაგრამ ვერ იყიდეს?

დიახ, დიახ, ყმაწვილებო, აქ აღშფოთებაც აუცილებელია და კიდევ სხვა რამ. კერძოდ კი, თქვენს წერილებში ბეჯითი მტკიცება იმისა, რომ იმ ტელეჟურნალისტის დონეზე თქვენც ხართ.

ახლა იკითხავთ, რა არის ამისთვის საჭირო?

ამისთვის საჭიროა, არც მეტი, არც ნაკლები, ციტატების დიდი მარაგი. ვისი ციტატების? ეს უკვე თქვენზეა, ჯიმშერ ხურუშიანით დაწყებული, ჰერმან ჰესეთი დამთავრებული, ყველაფერი წავა. მერე რა, რომ თემა, რომელზეც თქვენ (შეგახსენებთ, რომ უნიფხოთა თამაშის რეპორტაჟს წერთ) იდენთ ოფლს, არც ხურუშიანთან და არც ჰესესთან არაფერ შუაშია, მთავარი ციტატაა. მაგალითად, ასე:

„წისქვილი ისეთი ადგილია, ფიქრობს კაცი, ჩაილაპარაკა ჭაბუა ამირეჯიბის სულისმკვებავ წიგნში ბონია მეწისქვილემ და მართლაც, ის რაც „ამისა“ და „იმის“ მეათე ტურის შეხვედრაში ვნახეთ, ძალიან ჰგავდა მჭადის ფქვილს, რომლისგანაც დედა მჭადს გამოაცხობს, მაგრამ ზედ ხელის ანაბეჭდს დააჩნევს, რასაც ქალაქელი რძალი ძალიან იუკადრისებს.“

თუ ასე დაწერთ, თქვენ დაამტკიცებთ, რომ ეროვნულ ლიტერატურაში თქვენებრ განათლებულობით ბარე ორი ტელევარსკვლავი ვერ დაიკვეხნის, მაგრამ თუ თქვენ იმასაც კი გრძნობთ, რომ ქართული ლიტერატურა „დაბალი დონეა და რამე“, მაშინ კიდევ უფრო შორს უნდა წახვიდეთ და ასე დაწეროთ:

„გახსოვთ, რას ამბობს ჯონ მალკოვიჩის გმირი ფილმში „სახიფათო კავშირები“? ის ამბობს, „ეს ჩემს ძალებს აღემატება“. სწორედ ამას გაიფიქრებდა გოჩა სადღობელაშვილის შემყურე კაცი „ამისა“ და „იმის“ შეხვედრის 83-ე წუთზე, როდესაც სადღობელაშვილმა ბელტიდან ასხლეტილი ბურთი „იმის“ კარის ხაზთან მიიღო, მაგრამ ვერ გაიტანა და როგორც „ტრამალის მგლის“ ჰარი ჰალერს თავის მოკვლა მოუნდა“.

აი, ეს ყმაწვილებო...

ზრ-ზრ-ზრ — ახლა ასეთი ზარი ისმის.

კნაწაძე, შემდეგ ლექციაზე ცხვირსახოცი წამოიღე, თორემ...

***რექტორი და დეკანი, კათედრის და გამგე***

*როხელიო კალანდაძე*

EXCLUSIVE + EXCLUSIVE

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XXII ტური

**შტუტგარტი 0:0 შალკე**

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ბ. ჟივკოვიჩი, ბორდონი, ლამი, სოლდო, მეირა, ჰელდტი (შ. იაკინი 46), გლები (ტიფერტი 75), კურანი, კაკაუ (სტრელერი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, კლასენერი, ვან კერკჰოვენი, კობიაშვილი, ჰამიტ ალტინტოპი, ვერმანტი, დ. როდრიგესი (ჰაიტო 57), ზაიცი (პინტუ 74), სანდი, დელურა (ჰანკე 56)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კაკაუ, ბორდონი, ჰელდტი, ტიფერტი, ვერმანტი, ჰაიტო, ალტინტოპი, კობიაშვილი
მსაჯი: მაიერი
43 000 მაყურებელი

**ვერდერი 2:0 დორტმუნდი**

1:0 ისმაელი (57), 2:0 აილტონი (86)
ვერდერი: რაინკე (ბორელი 46), უმითი (შულცი 77), ისმაელი, კრსტაიჩი, სტალტერი, ლისტეში, ფ. ბაუმანი, მიკუ, ფ. ერნსტი, აილტონი (ვალდესი 90), კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
დორტმუნდი: ვარმუზი, შ. როიტერი (რიკენი 70), ვიორნსი, დემელი, კ. იენსენი (ოდონკორი 80), როსიცკი, ფრინგსი, ფლავიო კონსეისაო (დედე 70), კელი, კოლერი, ევერტონი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: მიკუ, შულცი, ვიორნსი, როიტერი, კოლერი
მსაჯი: ვაგნერი
43 000 მაყურებელი

**ბაიერნი 2:0 ვოლფსბურგი**

1:0 მაკაი (11), 2:0 შვაინსტაიგერი (76)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, შვაინსტაიგერი, დემიკელისი (იერემისი 46), ბალაკი, ზე რობერტო (ტროხოვსკი 84), მაკაი, კ. პიზარო (სანტა კრუზი 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ვოლფსბურგი: რამოვიჩი, რიტერი, შნოორი, ბილიშკოვი, ვაიზერი (მენსეგეში 87), ტიამი (შარპეი 89), კარჰანი, ტოპიჩი, დალესანდრო, მ. პეტროვი, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: სანიოლი, დემიკელისი, იერემისი, რიტერი, ტოპიჩი, ბილიშკოვი
მსაჯი: კინჰოფერი
30 000 მაყურებელი

**ჰამბურგი 3:1 ლევერკუზენი**

1:0 ჰოოგმა (10), 2:0 მაჰდავიკია (17პ), 3:0 რომეო (36), 3:1 შნაიდერი (39)
ჰამბურგი: ვიახტერი, ჰოოგმა, რაინჰარდტი, შლიკე, კლინგი, ბენჟამინი, იაროლიმი (ფუკალი 89), რანი (ტაკაჰარა 63), მაჰდავიკია, ბარბარესი, რომეო (ბაინლიხი 83)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, კ. ფრიცი, ლუკიჩი, ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბიროფკა, ნოივილი (ფრანცა 46), ბ. შნაიდერი, ბაბიჩი, ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: შლიკე, ჰოოგმა, ბარბარესი, პლასენტე, ნოვოტნი, ბაბიჩი
მსაჯი: ფროილიხი
43 023 მაყურებელი

**ბოხუმი 0:0 ჰანზა**

*მაქსმა ვერ გაიტანა პენალტი (25, მეკარე)*
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი (ბემბენი 60), კალა (ტ. გუდიონსონი 78), ფარენჰორსტი, მაიხელბეკი, ცდებელი, ოლისე, ვოში, ფრაიერი, ჰაშემიანი, პ. მადსენი (დიაბანგი 38)
მწვრთნელი: პიტერ ნოირურერი
ჰანზა: კლევერი, მიორლე, პერსონი, ჰილი, ტიკუზუ, მაული (მელკამი 90), რიდლევიჩი, ლანცი, რასმუსენი, არვიდსონი (პრიკა 78), მაქსი (კ. მადსენი 60)
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: კოლდინგი, კალა, პ. მადსენი, რასმუსენი, ფრაიერი, ოლისე, რასმუსენი, დიაბანგი, მაიხელბეკი
გაძევება: რასმუსენი (57)
მსაჯი: ვაინერი
25 110 მაყურებელი

**აინტრახტი 3:1 მიონხენგლადბახი**

1:0 შკელა (16), 2:0 ამანატიდისი (17), 3:0 შური (55), 3:1 ვან ლენტი (74)
აინტრახტი: ნიკოლოვი, გიუნტერი, პროისი, ჰერჩი, კრისი, ბიურგერი, ჩა (ლექსა 74), შური, შკელა, კროიცი (მიოლერი 90), ამანატიდისი (ბაიერლე 80)
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი (კორზინეცი 64), ასანინი (რუბენი 52), შტრასერი, კარნელი, კლუგე (კოლკა 46), ჰაუსვაილერი, ულიხი, ბროიხი, ვან ლენტი, სვერკოში
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: შური, ბროიხი, ვან ლენტი, კარნელი, ულიხი
მსაჯი: შმიდტი
32 200 მაყურებელი

**კიოლნი 1:3 მიუნხენ 1860**

0:1 შროტი (14), 0:2 ლაუტი (36პ), 0:3 შროტი (39), 1:3 ვორონინი (50)
კიოლნი: ვესელსი, კულმანი, ჩიკონი, სიხონე, გრუიჩი, კრინგე, ჰაინრიხი, ლოტნერი (ებერსი 73), სტრაიტი, ვორონინი, შპრინგერი (შერცი 46)
მწვრთნელი: მარსელ კოლერი
მიუნხენ 1860: მ. ჰოფმანი, შტრანცლი, კურცი, როდრიგო კოშტა, საარინენი, მათიას ლემანი, ტისი, ჩერნი (გიორლიცი 64), ვაისენბერგერი (კიოიო 75), ლაუტი (აგოსტინო 70), შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: სიხონე, კულმანი, საარინენი, როდრიგო კოშტა
მსაჯი: მერკი
38 000 მაყურებელი

**ფრაიბურგი 1:0 კაიზერსლაუტერნი**

1:0 ცქიტიშვილი (83პ)
ფრაიბურგი: გოლცი, რაიტერი (სანუ 68), შ. მიულერი, ჰერმელი, ბ. დიარა, კაირო, ცქიტიშვილი, ანტარი (ბაირამოვიჩი 71), ბერნერი, კულიბალი, იაშვილი (კონდე 90)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, რიდლი, კნავსი, ვენცელი, დრეშერი, ნურმელა, ბიელიცა, ხრისტოვი, დომინგეში, ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: კაირო, დომინგეში, ცქიტიშვილი, კლოზე, დომინგეში, კნავსი, რიდლი, ვიზე
გაძევება: დომინგეში (34)
მსაჯი: კემლინგი
24 000 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:3 ჰერტა**

0:1 მარსელინიო (41), 1:1 მატისი (67), 1:2 რეინა (78), 1:3 მარსელინიო (81)
ჰანოვერი: ციგლერი, ჩერუნდოლო, შავიერი, ვინიციუსი (მულერი 55), დე გუზმანი, კონსტანტინიდისი, შტენდელი (სვიტლიცა 46), კრუპნიკოვიჩი (ვ. ბუტი 72), იდრისუ, მატისი, ბრდარიჩი
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ჰერტა: ფიდლერი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი, დარდაი, ნოინდორფი, მადლუნგი, ჯ. რეინა, მარსელინიო, ბობიჩი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: კონსტანტინიდისი, დარდაი, ნოინდორფი, შიმუნიჩი, რეინა
მსაჯი: კესლერი
22 000 მაყურებელი

# დორტმუნდს როსიცკი მოსტყდა



ტომაშ როსიცკი

სეზონის დაწყებიდან ტრავმებით გატანჯულ დორტმუნდის „ბორუსიას" კიდევ ერთი სატკივარი — ხელმოტეხილი ტომაშ როსიცკი დაემატა. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა „ბორუსია" ბრემენში აგებდა. ცენტრიდან მეტოქის საჯარიმოსკენ გაქცეულმა როსიცკიმ მანამდე წაქცეული კრსტაიჩი ვერ შეამჩნია და მასპინძელს დაეჯახა. ჩეხმა ჰაერში მალაყი გააკეთა და მარცხენა ხელის მტევანზე დაყრდნობით დაეცა. ამ დროისთვის მათიას ზამერს სამი ფეხბურთელი ჰყავდა შეცვლილი და დორტმუნდელები კაცნაკლულნი დარჩნენ.

„ვერდერმა" კვლავ კარგად ითამაშა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და ორივე გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა. ვალერიან ისმაელმა დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით იხეირა, მას დემელის თავიც წაეხმარა, რომელმაც ბურთს მიმართულება შეუცვალა.

სეზონში მეოცე გოლი მიითვალა აილტონმა. ბრაზილიელმა მეკარე ჩამოიცილა, აქოშინებული ორი მცველი მოედნის გარეთ გაასრიალა და ბურთი კარში შეაგორა.

„ვერდერმა" მოიგო, მაგრამ „ბაიერნმა" ლიდერთან სხვაობა შეინარჩუნა. მიუნხენში „ვოლფსბურგს" თითო ტაიმში თითოჯერ გაუტანეს. როი მაკაიმ ანგარიში გახსნა, შვაინსტაიგერმა კი გააორა.

კლაუს ტოპმიოლერმა ყოფილი გუნდი არ დაინდო და „ჰამბურგმა" „ლევერკუზენი" პირველივე ტაიმში მოახრჩო. ჰოოგმამ დაიწყო, მაჰდავიკიამ პენალტით გააგრძელა, ბერნანდო რომეომ კი მეტოქის განადგურება დაასრულა. სტუმრებმა მხოლოდ პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხეს.

ისევე როგორც „ჰამბურგმა", „მიუნხენ 1860"-მაც მასპინძელ „კიოლნს" ბოლო პირველივე ტაიმში მოუღო. მარკუს შროტმა დუბლი მიითვალა, მის გოლებს შორის კი პენალტით ბენჯამინ ლაუტმა იხეირა.

„ბაიერნისა" და „ლევერკუზენის" ზედიზედ დამაქცევარმა „ბოხუმმა" შინ როსტოკელები ვერ გატეხა. „ჰანზას" შესვენებამდე დაწინაურება შეეძლო, მაგრამ მაქსმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააცუდა. მეორე ნახევარში მასპინძლები კაცნაკლულები დარჩნენ, თუმც „ჰანზამ" უპირატესობა ვერ გამოიყენა.

ნელ-ნელა გონს მოდის ფრანკფურტის „აინტრახტი". ერთი კვირის წინ სტუმრად „ჰერტას" მძლეველებმა ამჯერად შინ მიონხენგლადბახის „ბორუსია" დაჯაბნეს. „აინტრახტმა" მეტოქე ორწუთიან მონაკვეთში დააშამათა ერვინ შკელასა და იოანის ამანატიდისის წყალობით. მეორე ტაიმში მეტოქეებმა თითო გოლი გაცვალეს, „აინტრახტმა" კი ამ მოგებით ცხრილში სამი საფეხურით აინაცვლა.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS მიუნხენიდან

ბაიერნი — ვოლფსბურგი. როი მაკაის საგოლე დარტყმა

## მეორე ბუნდესლიგა

### XXII ტური

**ნიურნბერგი 2:0 აუე**

1:0 მინტალი (7), 2:0 შტელე (32)
აუე: ჰანელი, ბარტენი, ემერიხი, ნოვესკი, რ. ტრეკოპფი, ჩიპევი, ტოპმიოლერი, რემი, შუბითიძე (იანკი 68), იუსკოვიაკი (კურტი 80), კური
17 387 მაყურებელი

**ალემანია 0:0 ფიურტი**

**კარლსრუე 2:2 არმინია**

0:1 ბოაკიე (11), 1:1, 2:1 კეისი (68, 75), 2:2 რადოვიჩი (81)

**უნიონი 2:1 დუისბურგი**

0:1 აჰანფუფი (3), 1:1 ბაუმგარტი (56პ), 2:1 სობოტჩიკი (69)
უნიონი: ვულნიკოვსკი, სანდმანი, კოჟაკი, პეიჯი, დაბაჩი, ერნემანი (პფუდერერი 77), ბრუსკო, სობოტჩიკი, ბრუნსი, ბაუმგარტი, რისტიჩი (კეიტა 86)
*დავით სირაძე სათადარიგო იყო*
მწვრთნელი: მირკო ვოტავა
მსაჯი: შტარკი
7 716 მაყურებელი

**ოსნაბრიუკი 0:1 კოტბუსი**

0:1 რეგეკამპფი (55)

**რეგენსბურგი 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 კოლომაჟნიკი (6)

**ალენი — ბურგჰაუზენი**

*გადაიდო*

**ობერჰაუზენი — მაინცი**

*გადაიდო*

**ტრირი — ლიუბეკი**

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 22 | 11 | 6 | 5 | 40:26 | 39 |
| ობერჰაუზენი | 21 | 11 | 5 | 5 | 35:26 | 38 |
| კოტბუსი | 22 | 11 | 5 | 6 | 35:29 | 38 |
| ალემანია | 22 | 10 | 5 | 7 | 33:32 | 35 |
| მაინცი | 21 | 8 | 9 | 4 | 32:25 | 33 |
| არმინია | 22 | 9 | 5 | 8 | 32:26 | 32 |
| კარლსრუე | 22 | 9 | 5 | 8 | 25:27 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 21 | 8 | 6 | 7 | 29:24 | 30 |
| დუისბურგი | 22 | 7 | 8 | 7 | 32:29 | 29 |
| ლიუბეკი | 21 | 7 | 8 | 6 | 32:30 | 29 |
| უნტერჰახინგი | 22 | 8 | 5 | 9 | 30:31 | 29 |
| რეგენსბურგი | 22 | 7 | 8 | 7 | 29:31 | 29 |
| ფიურტი | 22 | 5 | 10 | 7 | 35:35 | 25 |
| უნიონი | 22 | 6 | 6 | 10 | 26:28 | 24 |
| აუე | 22 | 5 | 8 | 9 | 21:28 | 23 |
| ტრირი | 21 | 6 | 5 | 10 | 24:35 | 23 |
| ალენი | 21 | 6 | 3 | 12 | 20:33 | 21 |
| ოსნაბრიუკი | 22 | 5 | 5 | 12 | 21:36 | 20 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვერდერი | 22 | 16 | 4 | 2 | 54:21 | 33 | 52 | 12 | 9 | 2 | 1 | 30:12 | 18 | 29 | 10 | 7 | 2 | 1 | 24:9 | 15 | 23 |
| 2 ბაიერნი | 22 | 13 | 6 | 3 | 47:22 | 25 | 45 | 11 | 9 | 2 | 0 | 29:10 | 19 | 29 | 11 | 4 | 4 | 3 | 18:12 | 6 | 16 |
| 3 შტუტგარტი | 22 | 11 | 7 | 4 | 27:10 | 17 | 40 | 12 | 6 | 5 | 1 | 16:6 | 10 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 11:4 | 7 | 17 |
| 4 ბოხუმი | 22 | 10 | 7 | 5 | 36:24 | 12 | 37 | 11 | 7 | 4 | 0 | 18:3 | 15 | 25 | 11 | 3 | 3 | 5 | 18:21 | -3 | 12 |
| 5 ლევერკუზენი | 22 | 10 | 6 | 6 | 39:28 | 11 | 36 | 10 | 6 | 1 | 3 | 21:12 | 9 | 19 | 12 | 4 | 5 | 3 | 18:16 | 2 | 17 |
| 6 დორტმუნდი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:30 | 6 | 34 | 11 | 7 | 3 | 1 | 24:11 | 13 | 24 | 11 | 3 | 1 | 7 | 12:19 | -7 | 10 |
| 7 შალკე | 22 | 8 | 9 | 5 | 26:23 | 3 | 33 | 11 | 3 | 6 | 2 | 10:9 | 1 | 15 | 11 | 5 | 3 | 3 | 16:14 | 2 | 18 |
| 8 ჰამბურგი | 22 | 8 | 6 | 8 | 31:35 | -4 | 30 | 11 | 6 | 3 | 2 | 20:14 | 6 | 21 | 11 | 2 | 3 | 6 | 11:21 | -10 | 9 |
| 9 ვოლფსბურგი | 22 | 9 | 1 | 12 | 40:42 | -2 | 28 | 11 | 8 | 0 | 3 | 29:17 | 12 | 24 | 11 | 1 | 1 | 9 | 11:25 | -14 | 4 |
| 10 ფრაიბურგი | 22 | 8 | 4 | 10 | 31:46 | -15 | 28 | 12 | 8 | 1 | 3 | 23:21 | 2 | 25 | 10 | 0 | 3 | 7 | 8:25 | -17 | 3 |
| 11 ჰანზა | 22 | 7 | 6 | 9 | 32:32 | 0 | 27 | 10 | 5 | 1 | 4 | 18:11 | 7 | 16 | 12 | 2 | 5 | 5 | 14:21 | -7 | 11 |
| 12 მიუნხენი | 22 | 7 | 5 | 10 | 24:33 | -9 | 26 | 11 | 5 | 1 | 5 | 12:16 | -4 | 16 | 11 | 2 | 4 | 5 | 12:17 | -5 | 10 |
| 13 ჰანოვერი | 22 | 6 | 6 | 10 | 38:50 | -12 | 24 | 11 | 3 | 5 | 3 | 22:23 | -1 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 16:27 | -11 | 10 |
| 14 ლაუტერნი | 22 | 7 | 3 | 12 | 23:35 | -12 | 24 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:8 | 5 | 17 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:27 | -17 | 7 |
| 15 აინტრახტი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:33 | -8 | 23 | 12 | 3 | 4 | 5 | 16:18 | -2 | 13 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:15 | -6 | 10 |
| 16 ჰერტა | 22 | 5 | 7 | 10 | 23:42 | -19 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:18 | -8 | 9 | 12 | 3 | 4 | 5 | 13:24 | -11 | 13 |
| 17 გლადბახი | 22 | 5 | 6 | 11 | 23:33 | -10 | 21 | 10 | 3 | 4 | 3 | 11:12 | -1 | 13 | 12 | 2 | 2 | 8 | 12:21 | -9 | 8 |
| 18 კიოლნი | 22 | 4 | 4 | 14 | 17:33 | -16 | 16 | 12 | 4 | 1 | 7 | 12:17 | -5 | 13 | 10 | 0 | 3 | 7 | 5:16 | -11 | 3 |

*„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 20 |
| მაქსი (ჰანზა) | 14 |
| მაკაი (ბაიერნი) | 13 |
| ჰაშემიანი (ბოხუმი) | 11 |
| კოლერი (დორტმუნდი) | 10 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 10 |

**XXIII ტური**

6 მარტი

გლადბახი — ჰანოვერი
ლაუტერნი — აინტრახტი
შალკე — ფრაიბურგი
დორტმუნდი — შტუტგარტი
მიუნხენი — ვერდერი
ვოლფსბურგი — კიოლნი
ლევერკუზენი — ბაიერნი
ჰანზა — ჰამბურგი
ჰერტა — ბოხუმი

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XX ტური

დინამო — ზანკტ პაული 1:0; კილი — იურდინგენი 0:3; ქემნიცი — ვერდერი (მ) 2:1. *შალკე (მ) — ლაიპციგი, დორტმუნდი (მ) — მიუნსტერი, პადერბორნი — კიოლნი (მ), ესენი — ნოიმიუნსტერი და ვუპერტალი — ვატენშაიდი გადაიდო. ჰამბურგი (მ) — ბრაუნშვაიგი დღეს გაიმართება*

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### XX ტური

ზაარბრიუკენი — ბაიერნი (მ) 1:1; ერფურტი — კიკერსი 1:0; შვაინფურტი — ზიგენი 5:1; მაინცი (მ) — ოფენბახი 1:0; შტუტგარტი (მ) — ეშბორნი 3:0. *ჰოფენჰაიმი — აუგსბურგი, პფულენდორფი — ელვერსბერგი, აალენი — ფოიხტი და ვეჰენი — კაიზერსლაუტერნი (მ) გადაიდო*

# მთავარია, ტოტი იყოს კარგად
## ინტერი გრიპთან დამარცხდა



REUTERS

პარმა — რომა. ფრანჩესკო ტოტიმ გაიტანა და მანსინისაც გაატანინა

### ლაციო — მილანი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

აი, რა დიდებულია ლიდერი გვიან რომ თამაშობს. ეს მდევრებს უეჭველად აძლევს დამატებით სტიმულს. ასე მათ აუცილებლად უნდა მოიგონ ის მატჩები, რომლებიც ისედაც აუცილებლად უნდა მოეგოთ. მიზანს რომ მიაღწევენ, მერე შეუძლიათ მშვიდად მიუსხდნენ ტელევიზორებს ლიდერის თამაშის სანახავად და მისი მეტოქის საქომაგოდ.

„რომა“ გუშინ პარმაში თამაშობდა, ოღონდ გუშინწინ, შაბათს, იტალიის ამ ქალაქში ისე თოვდა, რომ მატჩის ჩატარება-გადადებაც კი გახდა გასარჩევი. კვირას დილით ფეხბურთის მოყვარულთა გასახარად ნალექი დაცხრა. შეხვედრა არათუ გაიმართა, მოედანს თვალით ვერც შეატყობდით, რომ მის გარშემო ქალაქში კისრამდე თოვლი იყო. ერთადერთი, სარეკლამო დაფებთან მიყრილი თეთრი მასა და ის გუნდები იპყრობდა ყურადღებას, კუთხურების დროს ჩამწოდებლისკენ რომ მიფრინავდნენ.

„რომას“ ყველაზე დიდი გასაჭირი დაცვაში ელოდა, სადაც კრისტიან კივუ მტკივანი მხრის გამო ვერ თამაშობდა, ჯონათან ძებინა კი დისკვალიფიცირებული გახლდათ, მაგრამ როგორც საბოლოოდ გაირკვა, იტალიის დედაქალაქის ამ გუნდს მთავარია კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი ჰყავდეს კარგად და დანარჩენი აეწყობა. „რომამ“, რომელიც თავიდან აგებდა, საბოლოოდ 4:1 მოიგო და ამ ოთხიდან ერთი ტოტიმ საჯარიმო დარტყმით თავად გაიტანა, ერთი ანტონიო კასანოს გაატანინა, ერთი, რომელსაც საბოლოოდ მანსინიმ მიჰკრა ფეხი, ტოტის პასი იყო ემერსონსაც შეეძლო გაეტანა და ერთი, იმავ ემერსონისა, ტოტის ქუსლით ნირშეცვლილი კომბინაციის ბოლოს გავიდა.

მოიგო „მილანის“ კიდევ ერთმა მდევარმა, „იუვენტუსმა“ 3:0 — ასეთია ანგარიში, რომელიც იტალიის ჯერ კიდევ ჩემპიონმა „ანკონას“ პირველსავე ტაიმში დაუწერა ტაბლოზე. ამ შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამბავი მის დაწყებამდე მოხდა — მსაჯ დონდარინის პირველი ჩასტვენა ათი წუთის დაგვიანებით მოუხდა, ვინაიდან „ანკონას“ ფეხბურთელებმა კომერციულ ტელეარხ „ჯოკო კალჩოს“ ასეთი მეთოდით პროტესტი გამოუცხადეს. პროტესტის მიზეზი ხელფასების დაგვიანება გახლდათ.

„იუვენტუსს“ არ ჰყავდა ენცო მარესკა, დავიდ ტრეზეგე და დისკვალიფიცირებული პაველ ნედვედი, რის გამოც მარჩელო ლიპიმ ერთი შეხედვით უცნაური ტრიო, ფაბრიციო მიკოლი, ალესანდრო დელ პიერო და მარკო დი ვაიო ათამაშა.

თუმცა, ანგარიში მაურო კამორანეზიმ გახსნა. მე-7 წუთზე მან საჯარიმოს მისადგომებიდან დაუმიზნა შორეულ კუთხეში, რის შემდეგ ერთი მომენტი მარკო დი ვაიომ გაუშვა ხელიდან, მეორე კი ანკონელმა გორან პანდევმა. ხოლო დანარჩენი ტაიმი ცალმხრივ მოძრაობას ჰგავდა, ოღონდ... „იუვეს“ კარისკენ ფრთხილად დასაჯერებელია, მაგრამ „ბებერი ქალბატონის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი მუდმივი ნიშნის ქვეშ იყო. ცხადია, ისევ შეცდა მეტისმეტად დაბერებული ლილიან ტურამიც, რომელმაც მილან რაპაიჩს უძღვნა საგოლე მომენტი და... გოლი ისევ „იუვენტუსმა“ გაიტანა. მასპინძლებმა კლასიკური კონტრშეტევა ჩაატარეს, რომლის ბოლოს წინ გაჭრილმა დი ვაიომ მიკოლის დაუგორა ბურთი, მიკოლიმ კი შეაგდო.

სხვათა შორის, წინა კვირაში თქვა „იუვენტუსის“ საპატიო პრეზიდენტმა უმბერტო ანიელიმ, გუნდის შედეგები გაცილებით შთამბეჭდავია, ვიდრე უბადრუკი თამაშიო. აი, დასტურიც: ალესიო ტაკინარდის პასით ალესანდრო დელ პიერომ ამ მართლაც საბრალო „ანკონას“ მესამე გოლი გაუტანა.

სამაგიეროდ, „ინტერმა“ დაამტკიცა, რომ ისევ სისულელეთა კეთების იშტაზეა, ინებეთ: „სან სიროზე“ 1:3 „ბრეშასთან“, რომელსაც რობერტო ბაჯო კუნთის ტკივილის გამო არ ჰყავდა, ხოლო სხვა 11 ფეხბურთელი გრიპიანი დაურბოდა. არ ვაჭარბებთ, „ბრეშაში“ გრიპის ეპიდემიაა, ხოლო „ინტერში“...

**პაპუნა ძედია**

## იტალია

### სერია A. XXIII ტური

**პარმა 1:4 რომა**

1:0 ჯილარდინო (30), 1:1 კასანო (44), 1:2 ემერსონი (52), 1:3 ტოტი (70), 1:4 მანსინი (76)

პარმა: ს. ფრეი, ბონერა, პ. კანავარო, მ. ფერარი, მ. კასტელინი, ბარონე, ბრეშიანო, დონადელი, მარკიონი (პოტენცა 84), ზიკუ (კამარატა 54), ჯილარდინო (დეგანო 89)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, დელასი, კანდელა, მანსინი (ტომაზი 89), ემერსონი, დაკური (დე როსი 82), ფ. ლიმა, ტოტი (დელვეკიო 80), ა. კასანო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: დაკური, კანდელა, ბარონე, ფერარი

მსაჯი: კოლინა

21 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 3:0 ანკონა**

1:0 კამორანეზი (7), 2:0 მიკოლი (40), 3:0 დელ პიერო (45)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (ბირინდელი 72), ფერარა, იულიანო, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი (პესოტო 78), ა. კონტე, მიკოლი, დელ პიერო (კიუმიენტო 60), დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ანკონა: მარკონი, ლ. ელგერა (სოლიანო 62), ბოლიჩი, დ. ბაჯო (გორეტი 87), მილანეზე, ბერეტა, დ. ანდერსონი, მაინი, პანდევი (ზავანო 46), განცი, რაპაიჩი

მწვრთნელი: ჯოვანი გალეონე

გაფრთხილება: ძამბროტა

მსაჯი: დონდარინი

28 672 მაყურებელი

**ინტერი 1:3 ბრეშა**

1:0 სტანკოვიჩი (48), 1:1 კარაჩოლო (68), 1:2 დელ ნერო (73), 1:3 შელვეგი (82ს.კ.)

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, შელვეგი, ადანი, პასკუალე, ვან დერ მეიდე (რეკობა 83), კ. ძანეტი, დ. სტანკოვიჩი, კილი გონსალესი (ლამუში 71), ადრიანო, ხ. კრუზი (ვიერი 71)

მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი

ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი (გუანა 70), დი ბიაჯო, დაინელი, პ. კასტელინი, სტანკევიჩიუსი (შოპი 65), ჯ. კოლუჩი, მატუზალემი, მაური, დელ ნერო, კარაჩოლო (მანიერო 89)

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

გაფრთხილება: კოლუჩი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, კარაჩოლო

გაძევება: სტანკოვიჩი (85)

მსაჯი: აიროლდი

45 000 მაყურებელი

**სამპდორია 1:0 კიევო**

1:0 დიანა (49)

*დონიმ ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)*

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კონტე, ფალკონე, ბეტარინი, დიანა (პალომბო 85), ვოლპი, პედონე, დონი (კაროციერი 73), ბაცანი, ჩიპრიანი (ფლაკი 69)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

კიევო: მარკეჯანი (ფრეცოლინი 46), მორო, ბარძალი, დანა, ს. ლანა, პეროტა, ლუსიანო (სემიოლი 26), ბარონიო, სანტანა (ამაური 70), პელისიერი, ფ. კოსატო

მწვრთნელი: ლუიჯი დელნერი

გაფრთხილება: დანა, ბეტარინი

მსაჯი: ბოლონინო

22 000 მაყურებელი

**ემპოლი 2:0 უდინეზე**

1:0 ბუშე (22), 2:0 კრიბარი (86)

ემპოლი: ბალი, ლუკინი, კრიბარი, ვარგასი, კუპი, ჯამპიერეტი (პრატალი 70), პ. ძანეტი, ბუშე, ვანუკი, დი ნატალე, როკი (კაპელინი 89)

მწვრთნელი: ატილიო პეროტი

უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი (ფელიპე 88), კროლდრუპი, პინცი (კასტრომანი 59), დ. პიზარო, მუნტარი, იანკულოვსკი, იაკინტა, ფავა, იორგენსენი (იანკერი 74)

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: სენსინი, პინცი, ბერტოტო, ფავა, ბუშე, დი ნატალე

მსაჯი: მესინა

20 000 მაყურებელი

**სიენა 0:0 რეჯინა**

სიენა: ფორტინი, ჩირილო (როკე ჟუნიორი 81), კუფრე, მინანი, გიგუ, ტადეი, ვერგასოლა, დავერსა, ლაზეტიჩი, ტ. ფლო, კიეზა (ვენტოლა 62)

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

რეჯინა: კოპოლა, ტორიზი, სოტილი, ი. ფრანჩესკინი, კომოტო, ბაიოკო, მოცარტი, ტედესკო (მესტო 61), ფალზინი, კოცა (დი მიკელე 68), ბონაცოლი

მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე

გაფრთხილება: სოტილი, მოცარტი, ჩირილო, ლაზეტიჩი

მსაჯი: ბერტინი

9 200 მაყურებელი

**პერუჯა 4:2 ბოლონია**

*ბოტროიდმა ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)*

1:0 რავანელი (30), 1:1 ბელუჩი (58), 2:1 კოდრია (68), 3:1 ზე მარია (74პ), 4:1 უბნერი (83პ), 4:2 ბელუჩი (85)

პერუჯა: კალაჩი, დიამუტენე, დი ლორეტო, ფრეზი, ფაბიანო, ზე მარია (დო პრადო 80), კოდრია, ობოდო, კ. მანფრედინი, უბნერი (ბოტროიდი 89), რავანელი (ბრიენძა 46)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

ბოლონია: პალიუკა, ძაკარდო, ნატალი, მორეტი, ნერვო, ნაკატა, დალა ბონა, ლოკატელი (პეკია 58), სუსი, სინიორი (ბელუჩი 58), ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: დალა ბონა, ძაკარდო, დიამუტენე, ნერვო

გაძევება: დალა ბონა (74)

მსაჯი: ტომბოლინი

7 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:0 მოდენა**

1:0 ჩევანტონი (22პ)

ლეჩე: სიჩინიანო, სივილია, ბოვო, სტოვინი, აბრუცეზე, კასეტი (მარინიელო 25), ბოლანო (ჯაკომაცი 87), ლედესმა, ტონეტო, ჩევანტონი, ვუჩინიჩი (კონანი 45)

მწვრთნელი: დელიო როსი

მოდენა: ძანკოპე, მ. მაიერი, ჩევოლი, გრანდონი, კამპედელი (მარაცინა 87), მარასკო (ლიმბერსკი 55), დომიცი, ბალესტრი, ვინიაროლი (დ. კამარა 47), მაკინვა, ნ. ამორუზო

მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი

გაფრთხილება: ძანკოპე, ბოლანო, მაიერი, ლედესმა, ბოვო, დომიცი, ლიმბერსკი, სიჩინიანო

მსაჯი: დე სანქტისი

14 606 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 22 | 17 | 4 | 1 | 43:13 | 30 | 55 | 11 | 9 | 1 | 1 | 25:9 | 16 | 28 | 11 | 8 | 3 | 0 | 18:4 | 14 | 27 |
| 2 რომა | 23 | 16 | 5 | 2 | 51:10 | 41 | 53 | 12 | 10 | 1 | 1 | 33:5 | 28 | 31 | 11 | 6 | 4 | 1 | 18:5 | 13 | 22 |
| 3 იუვენტუსი | 23 | 16 | 4 | 3 | 47:25 | 22 | 52 | 12 | 10 | 1 | 1 | 30:10 | 20 | 31 | 11 | 6 | 3 | 2 | 17:15 | 2 | 21 |
| 4 ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 33:22 | 11 | 40 | 10 | 7 | 1 | 2 | 20:9 | 11 | 22 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 0 | 18 |
| 5 პარმა | 23 | 11 | 6 | 6 | 33:30 | 3 | 39 | 11 | 5 | 3 | 3 | 14:11 | 3 | 18 | 12 | 6 | 3 | 3 | 19:19 | 0 | 21 |
| 6 ინტერი | 23 | 10 | 6 | 7 | 39:23 | 16 | 36 | 12 | 6 | 2 | 4 | 23:11 | 12 | 20 | 11 | 4 | 4 | 3 | 16:12 | 4 | 16 |
| ანდერლეხტი | 23 | 20 | 2 | 1 | 57:18 | 62 |
| სტანდარდი | 24 | 13 | 7 | 4 | 50:23 | 46 |
| ბრიუგე | 24 | 14 | 4 | 6 | 51:25 | 46 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 9 | 3 | 46:29 | 42 |
| გენკი | 24 | 12 | 6 | 6 | 45:30 | 42 |
| ვესტერლო | 24 | 11 | 8 | 5 | 37:28 | 41 |
| ბეერსხოტი | 24 | 8 | 9 | 7 | 22:25 | 33 |
| სენტ ტრუიდენი | 24 | 8 | 7 | 9 | 28:35 | 31 |
| ლუვიე | 24 | 6 | 11 | 7 | 31:34 | 29 |
| ბევერენი | 24 | 9 | 2 | 13 | 34:41 | 29 |
| გენტი | 24 | 6 | 10 | 8 | 23:25 | 28 |
| მონსი | 24 | 5 | 9 | 10 | 23:32 | 24 |
| სერკლი | 24 | 5 | 9 | 10 | 20:42 | 24 |
| ლიერსი | 24 | 4 | 11 | 9 | 22:32 | 23 |
| შარლერუა | 24 | 5 | 7 | 12 | 23:32 | 22 |
| ლოკერენი | 24 | 5 | 7 | 12 | 29:42 | 22 |
| ჰეუსდენი | 23 | 4 | 6 | 13 | 22:41 | 18 |
| ანტვერპენი | 23 | 4 | 4 | 15 | 17:46 | 16 |

II კლასი. XXVI ტური

ოსტენდე — ბრიუსელი 2:2; ვიტონი — სპორტინგი 2:1; პატრო — დენდერლეუ 0:3; რუზელარე — ტუბეკე 2:1; ვიზეტი — ტინენი 1:0. *ვიგორი — რონსე, ვარეგემი — ეუპენი, დესელი — დაინცე და აალსტი — გეელი დიდფოვლობის გამო გადაიდო*

## თურქეთი

სუპერლიგა. XXIII ტური

რიზე — ელაზიგი 5:4; სამსუნი — ტრაბზონი 1:3; ადანა — გაზიანთეფი 2:3; ანკარაგიუჯიუ — მალათია 0:0; ბურსა — დენიზლი 0:1; კონია — გენჩლერი 4:1; სებათი — დიარბაქირი 0:1; ბეშიქთაში — ისთანბული 1:2; ფენერბაჰჩე — გალათასარაი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 23 | 15 | 6 | 2 | 54:27 | 51 |
| ბეშიქთაში | 23 | 15 | 6 | 2 | 49:23 | 51 |
| ტრაბზონი | 23 | 12 | 5 | 6 | 33:28 | 41 |
| დენიზლი | 23 | 12 | 3 | 8 | 37:27 | 39 |
| გალათასარაი | 23 | 10 | 8 | 5 | 35:28 | 38 |
| გაზიანთეფი | 23 | 12 | 2 | 9 | 35:34 | 38 |
| დიარბაქირი | 23 | 10 | 7 | 6 | 36:29 | 37 |
| მალათია | 23 | 8 | 9 | 6 | 31:23 | 33 |
| სამსუნი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:35 | 33 |
| გენჩლერი | 23 | 9 | 4 | 10 | 40:33 | 31 |
| კონია | 23 | 6 | 10 | 7 | 34:36 | 28 |
| ანკარაგიუჯიუ | 23 | 7 | 6 | 10 | 30:36 | 27 |
| რიზე | 23 | 8 | 3 | 12 | 25:38 | 27 |
| ისთანბული | 23 | 7 | 5 | 11 | 31:32 | 26 |
| სებათი | 23 | 5 | 7 | 11 | 26:36 | 22 |
| ელაზიგსფორი | 23 | 4 | 6 | 13 | 29:53 | 18 |
| ბურსა | 23 | 3 | 8 | 12 | 17:29 | 17 |
| ადანა | 23 | 3 | 3 | 17 | 21:50 | 12 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა. XXII ტური

ადმირა — შტურმი 0:0; მატერსბურგი — ბრეგენცი 1:1; პაშინგი — ზალცბურგი 1:0; გრაცერი — აუსტრია 0:0. *რაპიდი — კერნტენი დიდთოვლობის გამო გადაიდო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 22 | 12 | 6 | 4 | 37:16 | 42 |
| გრაცერი | 22 | 12 | 5 | 5 | 36:21 | 41 |
| რაპიდი | 21 | 11 | 6 | 4 | 36:27 | 39 |
| პაშინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 36:30 | 37 |
| ბრეგენცი | 22 | 9 | 6 | 7 | 32:34 | 33 |
| ადმირა | 22 | 7 | 6 | 9 | 26:28 | 27 |
| მატერსბურგი | 22 | 5 | 8 | 9 | 23:36 | 23 |
| ზალცბურგი | 22 | 6 | 3 | 13 | 27:26 | 21 |
| შტურმი | 22 | 4 | 8 | 10 | 20:29 | 20 |
| კერნტენი | 21 | 3 | 6 | 12 | 16:42 | 15 |

# ლიპის ლიბია, ძამბროტას ბარსელონა

## კარგად გამოჩხრიკეთ, ბიჭებო!

*„იუვენტუსი“ უცნაური გუნდი გახდა... ყოველ შემთხვევაში, ამ ზამთარს მაინც. ერთი მხრივ, თითქოს ისევ „იუვეა“ და ყველა მაღალი ჯილდოსთვის იბრძვის, მეორე მხრივ კი, დაცვა დაუსუსტდა, შემადგენლობა დაუბერდა და მის შესახებ სულ უფრო ხშირად წერენ, რომ რეფორმები სჭირდება*



მარჩელო ლიპი



ჯანლუკა ძამბროტა

ახლა ეს ყველაფერი რატომ ვახსენეთ: იმიტომ, რომ ცნობა ჯანლუკა ძამბროტას „ბარსელონაში“ შესაძლო გაყიდვის შესახებ, ვფიქრობთ, უფრო კრიზისის დასტურია, ვიდრე სიძლიერის. შეგახსენებთ, რომ ტურინელებს და ბარსელონელებს ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ. კერძოდ, ორი თვის წინ „იუვემ“ „ბარსაში“ მართალია ასაკოვანი, მაგრამ დიდებული ჰოლანდიელი ნახევარმცველი ედგარ დავიდსი გაუშვა.

დავუბრუნდეთ ძამბროტას. „ბარის“ ყოფილი ფეხბურთელის ფასი ბარსელონელმა დირექტორებმა, როსელმა და ბეგირისტაინმა 9 იანვარს ტურინში იკითხეს, როდესაც დავიდსის ამბავზე იყვნენ ჩასულები.

უნდა ითქვას, რომ ძამბროტა მართლაც საინტერესო ფეხბურთელია, რომელიც ადრე მარჯვენა ნახევარმცველის ფუნქციას ასრულებდა და ისე ყოჩაღად, რომ ნაკრებშიც ძირითადში ათამაშებდნენ, მაგრამ ერთი წლის წინ, როდესაც „იუვემ“ მაურო კამორანეზი დაიმატა და მარჯვნივ ორი ფეხბურთელი დაუგროვდა, მარჩელო ლიპიმ ძამბროტა მარცხნივ გადაიყვანა და მან ახლა იქ გამოიჩინა თავი. უნდა ითქვას, რომ როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ, იგი არა მარტო ნახევარდაცვაში, დაცვაშიც ძლიერ გამოსადეგია.

ამბობენ, რომ ძამბროტას ნაცვლად „ბარსა“ გაბრის და ბრაზილიელ ტიაგო მოტას დასთმობს. რაც შეეხება „იუვესთან“ კონტრაქტს, იგი ნახევარმცველს 2005 წლამდე აქვს და ბოლო ხანს ახალ, სამწლიან ხელშეკრულებაზეც ჰქონდა წამოწყებული მოლაპარაკებები.

მაგრამ „იუვენტუსზე“ საუბარი მხოლოდ ძამბროტას გამო არ დაგვიწყია. ამბობენ, ლიბიის პრეზიდენტის მოამარ კადაფის შვილმა, „პერუჯას“ ფეხბურთელმა ალ საადიმ, რომელიც დოპინგის გამო ამჟამად დისკვალიფიცირებულია, მარჩელო ლიპის მისი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზაო.

„მალე შევხვდები და შევეცდები დავუმტკიცო, რომ ლიბიას სერიოზული, ხანგრძლივი პროექტი აქვს — უთქვამს მოამარის ძეს „ტუტოსპორტისთვის“ — მინდა ლიპიმ ლიბიის ნაკრებს 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გაუკვლიოს გზა. მე შემიძლია მას ხუთწლიანი ხელშეკრულება შევთავაზო, რასაც სხვა აფრიკული ქვეყანა ვერ შეძლებს“.

აღსანიშნავია, რომ ლიბიელებს იტალიელი მწვრთნელები პირველად არ აღმოუჩენიათ. ორი წლის წინ მათ ნაკრებს „ჯენოაში“ ნამუშევარი ფრანკო სკოლიო ედგა სათავეში, რომელმაც თანამდებობა იმიტომ დატოვა, რომ სწორედ ალ საადი კადაფის ყოველ შეხვედრაში გამოყვანაზე თქვა უარი.

მარჩელო ლიპის კონტრაქტს „იუვენტუსთან“, ძამბროტასი არ იყოს, 2005 წელს გაუდის ყავლი. თუმცა ამბობენ, რომ მაესტრომ შესაძლოა ამ ზაფხულსვე დატოვოს ტურინი, ამაზე „ბებერი ქალბატონის“ საპატიო პრეზიდენტმა უმბერტო ანიელიმ ამ დღეებში მიანიშნა ჟურნალისტებს, როდესაც თავს მწარე კრიტიკის ნება მისცა.

და ვინ შეცვლის ლიპის „დელე ალპიზე“ თუ ის ყველაფერი, რისი ეჭვიც ახლა გამოვთქვით, მართალია? ყველაზე თვალშისაცემ კანდიდატად „იუვეს“ ყოფილი სული და გული, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, დღეს „მონაკოს“ თავკაცი („მონაკო“ ჩემპიონთა ლიგი მერვედფინალშია) დიდიე დეშანი ჩანს.

და კიდევ, მოგეხსენებათ, იტალიურ ფეხბურთში პროკურატურის ტრიალი — რასაც „იუვეს“ გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი, როგორც ჩანს, მიესალმება.

„გამოძიება საბოლოოდ სიმართლემდე მიგვიყვანს. ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი სწორად წარიმართება და საბუთებში ჩხრეკა დღევანდელი იტალიური ფეხბურთის ნამდვილ სახეს დახატავს“.

**პაპუნა ძიდია**



ლუჩანო მოჯი



ფრანკო სენსი

*ოფიციალური ცნობა: ბოლო დღეების სენსაციური ამბავი, გარიგება რუსულ კომპანია „ნაფტა-მოსკვასა“ და ფეხბურთის კლუბ „რომას“ შორის ჩაიშალა. მიზეზი „რომას“ ოფისში იტალიელი გამომძიებლების მისვლაა.*

# რუსებს შეეშინდათ

## პროკურატურამ ნაფტა-მოსკვას რომაზე ხელი ააღებინა

„ნაფტა-მოსკვას“ იტალიელმა ადვოკატმა სალვატორე ტრიფირომ თქვა: „კვირას, 29 თებერვალს, შუადღის სამი საათისთვის მოლაპარაკებები კრახით დასრულდა.“

არადა, გუშინ დილით იტალიური გაზეთების უმეტესობა წერდა, რომ გუშინვე (ანუ კვირას 29 თებერვალს) „რომას“ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტი ფრანკო სენსი კლუბის რუსი მენავთობეებისთვის მიყიდვას დაადასტურებდა.

„ჩვენ მოლაპარაკებათა ბოლო ეტაპზე ვიყავით — განმარტა ტრიფირომ — მაგრამ ცნობები იტალიურ ფეხბურთში წამოწყებული დიდი გამოძიების შესახებ რუსებისთვის შემაშინებელი გამოდგა. ისინი ხომ დიდძალი ფულის მოტანას აპირებდნენ. თავდაპირველად ლაპარაკი 400 მილიონ ევროზე იყო, მაგრამ ერთ წელიწადში ეს თანხმა 770 მილიონამდე უნდა გაზრდილიყო. რუსული მხარე შეშფოთდა, მას უნდოდა გარანტია, რომ გამოძიება მალე დასრულდებოდა, მაგრამ ასეთ გარანტიას, ბუნებრივია, ვერავინ მისცემდა.“

„რადიო კაპიტალის“ კორესპონდენტმა, რომელიც ადვოკატ ტრიფიროსთან ამ ინტერვიუს უძღვებოდა, რესპონდენტს ჰკითხა, რამდენად გამორიცხული იყო მოლაპარაკებათა ერთი ხნის შემდეგ გაგრძელება.

„ვეჭვობ, რომ გაგრძელდეს — უპასუხა ვექილმა — „პარმალატისა“ და „ჩირიოს“ მაგალითებმა რუსებს შეუქმნა უარყოფითი შთაბეჭდილება და ვინაიდან მათი ინვესტიცია ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო, თავის შეკავება ამჯობინეს.“

**პაპუნა ძიდია**

# კარლოსის განკითხვის დღე

## ბრაზილიელის მუშტს და ზეიმს უეფაში გაარჩევენ

**რობერტო კარლოსი** შეიძლება დასაჯონ. თუ გახსოვთ, მიუნხენის „ბაიერნისა“ და მადრიდის „რეალის“ შეხვედრაში, რომელიც წინა სამშაბათს „ოლიმპიაშტადიონზე“ გაიმართა, მადრიდელთა ბრაზილიელმა მცველმა მიუნხენელ მარტინ დემიკელისს ხელი გაარტყა. ამ ინციდენტის გამო „ბაიერნმა“ უეფას საჩივარი აახლა და რობერტო კარლოსის დასჯა სთხოვა, საჩივარს უეფა დღეს, 1 მარტს განიხილავს.

„ინციდენტი რომ დამენახა, რობერტო კარლოსს დაუყოვნებლივ გავაძევებდი“ — თქვა ვიდეოფირის ნახვის შემდეგ მსაჯმა ტერიე ჰაუგემ.

თავად რობერტო კარლოსმა განაცხადა, რომ აგრესიულად არ მოქცეულა.

„ჩემი დისკვალიფიკაცია იმიტომ უნდათ, რომ გოლი გავიტანე, არადა, ცუდი არაფერი ჩამიდენია და „ბერნაბეუზე“ თამაში მსურს. თავს არავის დავსხმივარ, მხოლოდ მეტოქის ზღვარგადასული უხეშობის შემდეგ თავს ვიცავდი“.

ამის პარალელურად „რეალის“ ხელმძღვანელებმა „ბაიერნის“ ქცევა დაგმეს. მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა კი ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ანხელ მარია ვილიარს დაურეკა და უეფაში შუამდგომლობა სთხოვა.

დღეს უეფას სადისციპლინო კომიტეტი ორ საკითხს განიხილავს, რომელთაგან პირველზე უკვე ვისაუბრეთ, ხოლო მეორეზე ჯერ არაფერი გვითქვამს. ისიც რობერტო კარლოსს ეხება. თურმე უეფას გოლის გამო რობერტო კარლოსის ზეიმი შეურაცხმყოფელად მიუღია.



ლუიშ ფიგუმ და რობერტო კარლოსმა გოლი ასე იზეიმეს

ასე და ამგვარად, „რეალისა“ და „ბაიერნის“ მადრიდული შეხვედრის წინ ვითარება დაიძაბა. შეგახსენებთ, ორი წლის წინანდელს, როდესაც ოლივერ კანის და ჰასან სალიჰამიჯიჩის მკვახე ნათქვამების გამო მიუნხენის გუნდს „სანტიაგო ბერნაბეუ“ ხაზგასმით მტრულად დახვდა. ვნახოთ, ამჯერად რა მოხდება.

**პაპუნა ძიდია**

## საქართველოს თასი. მეორე ეტაპი. ბათუმი 1-3 მარტი

# ბათუმს გათამაშება შერჩა, თასი?



გურამ [illegible] ფოტო

დღეს ბათუმში საქართველოს თასის გათამაშების მეორე ეტაპი გაზურდება, რუსთავში ნაყოჩაღები ოთხი გუნდი ფინალში გასასვლელად წრიულად შეებმება ერთმანეთს.

ეს რიგით მეორე თასის გათამაშებაა და, შარშანდელისგან განსხვავებით უფრო ხანგრძლივი და შეხვედრებით დატვირთულია. თუ სადებიუტო ტურნირი 4 დღეს გაგრძელდა და ყველაფერი ვერის ბაღმა დაიტია, წლევანდელმა თასის გათამაშებამ საქართველოს ყველა ის ქალაქი მოიცვა, სადაც დღეს კალათბურთს ცოტაოდენ პატივს სცემენ.

წლეულს სათასო ესტაფეტა რუსთავმა ჩაიბარა და 16-21 იანვარს პირველი ჯგუფური ეტაპიც მოილია. ქვემო ქართლში ექვს გუნდში ირკვეოდა ბათუმში წამსვლელი ოთხის ვინაობა. „დინამომ", „სტუ-ჯეოსელმა", „ბასკომ" და „რუსთავმა" იყოჩაღეს, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი და სსუ ტურნირს რუსთავშივე დაემშვიდობნენ. მოწინავე ოთხი გუნდი ბათუმში კიდევ თითოჯერ შეხვდება ერთმანეთს და ცხრილში პირველი ორი ადგილის დამკავებელი 27 მარტს თბილისში თასის მფლობელს გაარკვევს.

სათასო ტურნირების სპეციფიკა საერთოდ ოლიმპიურ სისტემაზეა დამყარებული, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში გუნდებს ჯგუფურ ეტაპებზე უწევთ ურთიერთობის გარკვევა. ბათუმის „მინი-ტურნირზე" ყველა გუნდი განსხვავებულ პირობებში იქნება სატურნირო თვალსაზრისით. ანუ გუნდებს ჯგუფში უკვე განაწილებული აქვთ ადგილები რუსთავში ჩატარებული მატჩების გათვალისწინებით.

რუსთავიდან გუნდებს ის ქულები ჩაჰყვათ ბათუმში, რომლებიც ერთმანეთში თამაშისას მოიხვეჭეს. ორ გავარდნილთან — სსუ-სთან დ თსუ-სთან დაგროვილი ქულები კი ოთხივეს ჩამოეჭრა.

ასეთი გათვლებით საუკეთესო „დინამოა", რომელმაც რუსთავში ყველა მეტოქე დაამარცხა და ბათუმში ტურნირს ჯგუფში პირველ ადგილზე დიწყებს. ტურნირის მასპინძელი და შარშანდელი თასის მფლობელი ბათუმის „ბასკო" კი ცოტა რთულ მდგომარეობაშია, რაკი რუსთავში „დინამოსთან" ერთად „სტუ-ჯეოსელთანაც" წააგო და ახლა ამ ორივეს დამარცხება მართებს ფინალში გასასვლელად.

**ირაკლი პერტაია**

| საქართველოს თასის II ეტაპი. ბათუმი | |
|---|---|
| 1 მარტი, ორშაბათი | |
| დინამო — რუსთავი | 14.30 |
| ბასკო — სტუ-ჯეოსელი | 17.00 |
| 2 მარტი, სამშაბათი | |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 14.30 |
| ბასკო — რუსთავი | 17.00 |
| 3 მარტი, ოთხშაბათი | |
| რუსთავი — სტუ-ჯეოსელი | 14.30 |
| ბასკო — დინამო | 17.00 |

ვითარება პირველი ეტაპის შემდეგ

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 6 |
| სტუ | 3 | 2 | 1 | 5 |
| ბასკო | 3 | 1 | 2 | 4 |
| რუსთავი | 3 | 0 | 3 | 3 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 27 თებერვალი —

**ორლანდო 107:112 კლივლენდი**

ძირითადი დრო 100:100

ორლანდო: ლუ (13), სტივენსონი (7), მაკგრეიდი (35), ჰოვარდი (14), პანტერი; გუდენი (14 ქულა, 14 მოხსნა), სტრიკლენდი (8), ბოგანსი (6), რუქსი (6), პენიჯარი (4)

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

კლივლენდი: მაკინისი (16 ქულა, 10 პასი), ჯეიმსი (30 ქულა, 11 მოხსნა), უილიამსი (2), ბუზერი (17 ქულა, 16 მოხსნა), ილგაუსკასი (28); ბათი (12), კაპონო (5), ოლი (2), ვაგნერი

**ჰიუსტონი 89:85 პორტლენდი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (21), მობლი (16), ჯ. ჯექსონი (8), კატო (10), მინგი (13); ტეილორი (12), ვეზერსპუნი (6), პიატკოვსკი (3), მ. ჯექსონი

პორტლენდი: სტუდემაიერი (12), ანდერსონი (22), მაილზი (6), რენდოლფი (17 ქულა, 17 მოხსნა), რეთლიფი (4); აბდურ-რაჰიმი (15), დევისი (4), დიკაუ (3), პატერსონი (2), ვუდსი

*სტეფანია სათადარიგო იყო*

**ბოსტონი 88:75 ტორონტო**

ბოსტონი: პანტერი (11 ქულა, 16 მოხსნა)

ტორონტო: მარშალი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**ნიუ იორლეანი 89:77 ინდიანა**

ნიუ ორლეანი: მაშბურნი (22)

ინდიანა: ონილი (15)

**მინესოტა 91:81 გოლდენ სტეიტი**

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

გოლდენ სტეიტი: დამპიე (24 ქულა, 19 მოხსნა)

**საკრამენტო 97:102 იუტა**

საკრამენტო: ბიბი (26)

იუტა: კირილენკო (24 ქულა, 14 მოხსნა)

**დეტროიტი 105:83 ატლანტა**

დეტროიტი: ჰამილტონი (20)

ატლანტა: ჯექსონი (16)

**მილუოკი 106:104 მემფისი**

მილუოკი: ვან ჰორნი (30)

მემფისი: პოუზი (25 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 99:104 ფინიქსი**

სიეტლი: დანიელსი (19 ქულა, 10 პასი)

ფინიქსი: სტუდემაიერი (24)

**კლიპერსი 96:94 ნიუ იორკი**

კლიპერსი: ბრენდი (19 ქულა, 12 მოხსნა)

ნიუ იორკი: მარბერი (28)

— 28 თებერვალი —

**ატლანტა 99:104 ორლანდო**

ატლანტა: ტური (23), კროუფორდი (27), დიავი, ჯექსონი (24 ქულა, 10 პასი), [illegible] (5 ქულა, 15 მოხსნა); სურა (14 ქულა, 12 მოხსნა), ნდაიე (5), ვონი

ორლანდო: ლუ (19), სტივენსონი (12), მაკგრეიდი (30 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (12 ქულა, 10 მოხსნა), პანტერი (6); გუდენი (12), ბოგანსი (7), რუქსი (4), პენიჯარი (2), სტრიკლენდი

*ფაჩულია სათადარიგო იყო*

**დალასი 111:91 პორტლენდი**

დალასი: ნეში (22 ქულა, 11 პასი), ფინლი (12), უოლკერი (25), ნოვიცკი (21), უილიამსი (11); ბრედლი (6), დანიელსი (6), ჯემისონი (4), ფორტსონი (4), ნახერა, დელკი

პორტლენდი: სტუდემაიერი (16), ანდერსონი (14), მაილზი (16), რენდოლფი (18 ქულა, 11 მოხსნა), რეთლიფი (8); აბდურ-რაჰიმი (13), პატერსონი (4), დიკაუ (2), ვუდსი, დევისი

*სტეფანია სათადარიგო იყო*

**სან ანტონიო 117:92 დენვერი**

სან ანტონიო: პარკერი (29), თურქოღლუ (12), ბოუენი (2), როუზი (17), ნესტეროვიჩი (20 ქულა, 12 მოხსნა); ვილისი (17), ჯინობილი (8), ჰორი (6), ვორდი (4), ჰარტი (2), ბრაუნი

დენვერი: მილერი (10), ლენარდი (9), ენტონი (26), ნენე (7), კემბი (2); ბოიკინსი (15), ვაიტი (10), დოლიკი (4), ცქიტიშვილი (7 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა), ბოუენი (2), ანდერსენი (2), ბერი (2)

**ვაშინგტონი 110:122 ლეიკერსი**

ვაშინგტონი: არენასი (35), სტეკჰაუზი (20), ბრაუნი (18 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: ონილი (29), ბრაიანტი (25 ქულა, 14 მოხსნა, 10 პასი)

**მემფისი 97:92 ნიუ ორლეანი**

მემფისი: პოუზი (22)

ნიუ ორლეანი: დევისი (24 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**ჩიკაგო 87:81 გოლდენ სტეიტი**

ჩიკაგო: კარი (26 ქულა, 14 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (25)

**ინდიანა 81:74 ფილადელფია**

ინდიანა: ონილი (23)

ფილადელფია: ტომასი (20 ქულა, 11 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 92:86 მაიამი**

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (25)

მაიამი: ჯონსი (21)

## დიდ-პატარები მოედანზე

### ნოდარ ქორქიამ ბავშვებს წაუკითხა და აჩვენა



გურამ [illegible] ფოტო

*გუშინ იმ პროექტის კიდევ ერთი პუნქტი ამოქმედდა, რომელიც კალათბურთის ფედერაციამ წლის დასაწყისში თავის სამოქმედო გეგმად გამოაცხადა. ქართული კალათბურთის უფროსობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად ბავშვთა კალათბურთის განვითარება დაისახა და ამ საქმეში მას ვეტერანი მოთამაშეები ეხმარებიან. გუშინ 1987 წელს დაბადებულებს წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა ნოდარ ქორქიამ ჩაუტარა საჩვენებელი წვრთნა*

ამბავი ვერის ბაღში მოხდა და ფედერაციის ხელმძღვანელობასთან ერთად მას სხვა ვეტერანი კალათბურთელებიც დაესწრნენ. ვარჯიშში 16 ბიჭი და 14 გოგონა მონაწილეობდა. ისინი მოწინავე საკალათბურთო სკოლებიდან იყვნენ შერჩეულნი. ყველაზე მეტი, 7 წარმომადგენელი ჰყავდა ბავშვთა საკალათბურთო აკადემიას და ნოდარ ქორქიასაც საჩვენებელი ვარჯიშების წარმართვაში სწორედ აკადემიელი მწვრთნელი გელა წულაძე ეხმარებოდა. ასევე იყვნენ კალათბურთელები „სტუ-ჯეოსელის", „რუსთავის", სსუ-სა და „დინამოს" ახალგაზრდული გუნდებიდან. ნოდარ ქორქია ჯერ გაესაუბრა პატარებს, მათ ქართული კალათბურთის ტრადიციებზე ელაპარაკა და მერე საქმესაც შეუდგა. ქორქია ერთ დროს ბესიკ ლიპარტელიანის თანაშემწე იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, თსუსაც წვრთნიდა, ბოლოს კი „ბკ კიევში" მუშაობდა.

ეს იყო პირველი საჩვენებელი წვრთნა, სულ კი წლეულს ათი ასეთი ღონისძიება გაიმართება. მომავალ ვარჯიშებს ლევან მოსეშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ნიკოლოზ დერიუგინი და სხვა ვეტერანი კალათბურთელები წარუძღვებიან. ასევე დაგეგმილია, რომ რამდენიმე ვარჯიშს ნაკრების ლეგიონერი კალათბურთელები გაუძღვებიან. ეს ალბათ ზაფხულში მოხდება, როცა ეროვნული გუნდი თბილისში შეიკრიბება.

თბილისის გარდა საჩვენებელი წვრთნები ჩატარდება ქუთაისში, ბათუმში, თელავში, რუსთავსა და გორში.

**ირაკლი პერტაია**





კობ-შაკის დუეტმა „ლეიკერსს" ვაშინგტონში „ვიზარდსი" დაამარცხებინა

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტიკა | | | |
| ნიუ ჯერსი | 36 | 21 | 63,2 |
| ნიუ იორკი | 26 | 34 | 43,3 |
| მაიამი | 25 | 34 | 42,4 |
| ბოსტონი | 24 | 36 | 40,0 |
| ფილადელფია | 23 | 36 | 39,0 |
| ვაშინგტონი | 18 | 39 | 31,6 |
| ორლანდო | 17 | 44 | 27,9 |
| ცენტრალური | | | |
| ინდიანა | 43 | 16 | 72,9 |
| დეტროიტი | 37 | 24 | 60,7 |
| ნიუ ორლეანი | 32 | 27 | 54,2 |
| მილუოკი | 31 | 27 | 53,4 |
| ტორონტო | 25 | 33 | 43,1 |
| კლივლენდი | 24 | 35 | 40,7 |
| ატლანტა | 19 | 40 | 32,2 |
| ჩიკაგო | 17 | 42 | 28,8 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| შუა-დასავლეთი | | | |
| მინესოტა | 43 | 16 | 72,9 |
| სან ანტონიო | 39 | 20 | 66,1 |
| დალასი | 38 | 20 | 65,5 |
| მემფისი | 35 | 24 | 59,3 |
| ჰიუსტონი | 34 | 24 | 58,6 |
| დენვერი | 32 | 28 | 53,3 |
| იუტა | 30 | 30 | 50,0 |
| წყნარი ოკეანე | | | |
| საკრამენტო | 42 | 15 | 73,7 |
| ლეიკერსი | 37 | 20 | 64,9 |
| პორტლენდი | 29 | 30 | 49,2 |
| სიეტლი | 26 | 32 | 44,8 |
| კლიპერსი | 25 | 32 | 43,9 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 33 | 43,1 |
| ფინიქსი | 20 | 40 | 33,3 |

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# შუშბაზე, ოცი წლის წინათ

*ოცი წლის წინათ ორთავა უშბაზე დაიღუპა ექვსი ქართველი მთამსვლელი ირაკლი გელდიაშვილი, დევი (დავით) თარხნიშვილი, დავით კობახიძე, გიორგი ზუმბაძე, გია ტუშური და მურად ჭიჭინაძე*

*უშბაზე, კავკასიონის სხვა მწვერვალებზეც და უცხოეთის მთებშიც არაერთი ჩვენი მთამსვლელი დაღუპულა მანამდე და მას მერეც, მაგრამ ისეთი დიდი ტრაგედია, როგორიც ოცი წლის წინათ ამ ორთავა ბუმბერაზზე დატრიალდა, არ ახსოვს ქართულ ალპინიზმს.*

*შაბათს იმ ექვსეულის ახლობლები და მეგობრები დაღუპულთა საფლავებზე გავიდნენ, ქაშვეთში მათი სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტშიც შეიკრიბნენ და საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაშიც, სადაც მათი ხსოვნის საღამო მოაწყვეს.*

ქართველ მთამსვლელთა ამ სევდიან დღეს იყო ბევრი ტკბილ-მწარე მოგონება, მე კი ახლა სხვა მრავალთან ერთად მახსენდება მესტიის რაიონის სოფელი უშხვანარი, მთამსვლელთა დიდი ქომაგის, ცხონებული მაკრინე ქურდიანის ეზო, რომელსაც უშბა გადმოჰყურებს.

კაკლის ძირას სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე ვახშმობდით, როდესაც თვალი მოვკარი უშბის მისადგომებიდან დაბრუნებულ მთამსვლელ ვახტანგ საბანიძეს. ატალახებული სოფლის ორღობეებში თავჩაქინდრული მოდიოდა. დანაღვლიანებული ჩანდა. გულმა რეჩხი მიყო. ლუკმა ბურთივით გამეჩხირა ყელში. მწვერვალზე ორი იუგოსლაველი მთამსვლელი ადიოდა. ჩვენი სტუმრები იყვნენ და ვიფიქრე, ხიფათი ხომ არ შეემთხვათ-მეთქი. ეზოში რომ შემოვიდა, სევდიანი თვალები მოგვავლო. არავის შეუმჩნევია მისი მოსვლა. გახევებულმა თვალებით დავუსვი დიდი კითხვის ნიშანი. იმან კი პასუხად მძიმე ზურგჩანთა მოიხსნა, სახლის კედელს მიაყუდა და ბარგი ამოალაგა. ყველაფერი იქვე გაშალა, ზედ დააშტერდა და მზერა შეეყინა. ვახტანგთან მივედი და იმ საჭურველს დავაცქერდი: დაგლეჯილი, სისხლისფერი ზურგჩანთა, გაწყვეტილი, ნარინჯისფერი თოკი, ჟანგშეპარული, იტალიური წრიაპები, შალის ქუდი, ცალი ხელთათმანი, სათხილამურო ჯოხი, სანთია... ეს ყველაფერი ვახტანგისა არ იყო. არც იმ იუგოსლაველებს ჰქონდათ ასეთი საჭურველი. უმალ მივხვდი, რომ ეს ყველაფერი იმ ზამთარს უშბაზე დაღუპული ჩვენი მეგობრებისა იყო.

კიდევ ერთხელ შემეკუმშა გული. ერთხანს სუნთქვაშეკრულმა მერელა შევამჩნიე, რომ მწვანე მოლზე მოფენილ საჭურველს დანარჩენებიც დამუნჯებული ჭირისუფლებივით თავს წამოდგომოდნენ. ზოგმა თვალს მომდგარი კურცხალი ვეღარ დამალა. ვილაცამ საჭურველი ხელით მოსინჯა.

— ეს ზურგჩანთა მურადისა უნდა იყოს — გაბზარული ხმით წაიჩურჩულა ერთმა.

— ეს ქუდი ირაკლისას ჰგავს, — ისეთივე ხმით თქვა მეორემ.

— წრიაპი კი დევისაა — თქვა მესამემ.





— იქ, კულუარში კიდევაა მოფანტული საჭურველი. ზურგჩანთაში მეტი აღარ ჩამეტია — დამნაშავესავით გვითხრა ვახტანგმა.

მერე ყველამ უშბას გავხედეთ. ღრუბლებიდან თავი ამაყად და გულზვიადად ამოეყო...

1933 წელს და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებმა, იაგორ კაზალიკაშვილთან და გიო ნიგურიანთან ერთად უშბაზე საბჭოურ ასვლებს დაუდეს სათავე.

1937 წელს ასევე ქართველმა მთამსვლელებმა გაბრიელ, ბექნუ, ბესარიონ ხერგიანებმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა სამხრეთ უშბაზე, გულის მყინვარის მხრიდან ძალზე რთული კლდოვანი გზა დაძლიეს და საბჭოთა კავშირში საფუძველი ჩაუყარეს კლდოვან ასვლებს, რასაც ამაოდ ცდილობდნენ საუკეთესო დასავლელი მთამსვლელები.

უშბაზე ქართველ მთამსვლელთა გავლილი გზა სირთულით აღემატებოდა ალპების გრან ჟორასისა და ეიგერის მწვერვალებზე გაკვალულ კედლოვან „ბილიკებს", რომლებიც უძნელეს მარშრუტებად იყო აღიარებული მსოფლიოში.

იმ საბედისწერო ზამთარს, თებერვლის მიწურულს, უშბაზე პირველი საბჭოური ასვლის 50 წლისთავზე ირაკლი გელდიაშვილმა, გიორგი ზუმბაძემ, დევი თარხნიშვილმა, მურად ჭიჭინაძემ, დავით კობახიძემ და გია ტუშურმა სწორედ გაბრიელ ხერგიანის გზით შეუტიეს უშბას. მწვერვალზეც ავიდნენ და გახდნენ პირველნი, რომლებმაც უშბა ზამთარში დალაშქრეს, მაგრამ მერე რაც მოხდა, მკითხველმა უკვე იცის...

მთელი თბილისის, ქუთაისის, ყაზბეგის, სოხუმის მთამსვლელები მათი ცხედრების მოსაძებნად და ჩამოსასვენებლად დაიძრნენ. როგორც ყოველთვის, მაშინაც, იქ იყო მთელი სვანეთი, მართლაც ქუდზე კაცი გამოსულიყო.

უშბის ძირას თავი მოიყარეს იმათაც, ვისაც საერთო არა ჰქონდათ მთამსვლელობასთან. ცხადია, ზემოთ, მწვერვალის ფერდობებზე ალპინისტები წავიდნენ, მაგრამ უეცრად მოწყვეტილმა ზვავმა ყველანი ქვემოთ ჩამოხვეტა.

ისევ ზემოთ ავიდნენ და ისევ ზვავი...

დევი, დავითი, მურადი, ირაკლი, გია და გიორგი არაერთხელ თავადაც მონაწილეობდნენ სამძებრო-სამაშველო სამუშაოებში. ბევრი მთამსვლელი გადაურჩენიათ ხიფათისგან, ბევრი დაღუპული ალპინისტიც მოუძებნიათ ზვავში ჩაჩუმქრული და ჩამოუსვენებიათ. ამ დროს ისინი ფიქრით ალბათ საკუთარ ცხედრებსაც მოასვენებდნენ, რადგან ახსოვდათ გურამ თიკანიძის ნათქვამი: „ალპინიზმი უმსხვერპლოდ შეუძლებელია!"

უშბაზე დაღუპულ ბიჭებს ჯადოსნურ სარკეში ჩახედვა და თავიანთი მომავლის დანახვა რომ შესძლებოდათ, დარწმუნებული ვარ, ისინი მაინც არ დაიშლიდნენ მთაში სიარულს. დარწმუნებული ვარ, რადგან კარგად ვიცნობდი მათ ხასიათს, ოცნებებს...

ჯგუფის ყველაზე უფროსი წევრი 43 წლის გიორგი ზუმბაძე იყო, ყველაზე ახალგაზრდა კი გია ტუშური 23-ისა. 37-37 წლისანი იყვნენ დევი თარხნიშვილი და მურად ჭიჭინაძე, ირაკლი გელდიაშვილი მათ ერთი, დავით კობახიძე კი ორი წლით ჩამორჩებოდა.

ირაკლი გელდიაშვილი უნიკალური იყო თავისი სპორტული მიღწევებით. იგი ის უიშვიათესი გახლდათ, ვისაც მთამსვლელობაში და მეკლდეურობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების „ოქრო-ვერცხლი" არაერთგზის მოუპოვებია.

ალპინიზმში საკავშირო ჩემპიონატების არაერთგზის ჩემპიონ-პრიზიორები იყვნენ ზუმბაძე, ჭიჭინაძე და თარხნიშვილი, ტუშურს კი ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ ჰქონდა.

ახლა გუშინდელივით მახსოვს თებერვლის ის საღამო, როცა ირაკლი გელდიაშვილი ჩემთან შინ მოვარდა, ჩქარა ზურგჩანთა გაამზადე, დილით გამოგივლი, უშბაზე მივდივართო.

შევიცხადე, უშბაზე ზამთარში კი არა, ზაფხულშიც თითო-ოროლა თუ ადის და, მე რაღა ამიყვანს, როცა იქ ზამთარში ჯერ არავინ ყოფილა-მეთქი. არ მეშვებოდა, იქით მურადიც გელოდებაო, მაგრამ ბოლოს დამეხსნა, რადგან მაღალი სიცხე მქონდა. ერთი კვირის მერე შვილის დაბადების დღეც მქონდა. იქნებ იმ დღისთვის ვეღარ ჩამოვასწროთო, გავარდა და მალე უკან შამპანურებით და კანფეტებით დახუნძლული მოვარდა. ერთი კი აღლეგრძელა ბავშვი და ისევ გავარდა, ოღონდ „დამემუქრა" სხვა დროს მე და შენ აუცილებლად ერთად ავალთ უშბაზეო.

ის სხვა დრო აღარ მოვიდა...

**ავთანდილ გურასაშვილი**

# სანამ გამოცდილება მოვა
## მოკრივეებს ხორვატიიდან ორი მედალი მოაქვთ



ნიკა იზორია (ზურგით) ფინალში რუს გეორგი ბალაჩინეს ებრძვის

REUTERS ბულეტინიდან

გუშინ ხორვატიაში მოკრივეთა ათდღიანი ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. გადახალისებული და ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები ტურნირზე ცხრა მოკრივით გამოვიდა და ორი მედალი მოიგო.

ყველაზე წინ 18 წლის ფოთელი ნიკა იზორია (51 კგ) წავიდა. ფინალამდე ოთხი ბარიერი უპრობლემოდ გადალახა, იქ კი რუს გეორგი ბალაჩინესთან ველარაფერს გახდა და ვერცხლს დასჯერდა.

ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა კონსტანტინე კუპატაძეს (57კგ). მეორე წრეში რუსთა ერთ-ერთი იმედის რაიმკულ მალახბეკოვის სენსაციური ძლევით ქართველმა დიდი ყურადღებაც მიიპყრო და ერთ-ერთ ფავორიტადაც იქცა, თუმც ფრანგ კედაპი ჯელხირთან ვერაფერს გახდა.

მომავალ ჩემპიონთან, რუს ოლეგ საიტოვთან დამარცხდა მალხაზ ბერკაცაშვილი (69 კგ). მანამდე ორი შეხვედრის მოგება მოასწრო და ლიცენზიასთანაც ახლო იყო, მაგრამ გამოცდილებამ და კლასმა თავისი ქნა. ერთი გამარჯვება დააკლდა კახაბერ ჟვანიასაც (64 კგ). ნახევარფინალს მიღმა იგი ფრანგმა მსოფლიოს ჩემპიონმა ვილი ბლენმა დატოვა.

ერთი მოგების შემდეგ ტრავმამ გამოამშვიდობა ჩემპიონატს საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე ტიტულოვანი ვლადიმერ ჭანტურია (+91 კგ), თუმც კენჭისყრამ მასაც აშკარად არ გაუმართლა და მეორე წრეში ფავორიტი რუსი ალექსანდრ პოვეტკინი შეჰყარა. მეორე წრით დაასრულეს ევროპის ჩემპიონატი ავთანდილ კაშიამ (60 კგ) და დიმიტრი ფუხაევმაც (91 კგ). ლაშა ოჩიგავა (54 კგ) და დავით წიკლაური (75 კგ) კი პირველივეში დამარცხდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### ქართველები ევროპის ჩემპიონატზე

**51 კგ ნიკა იზორია** (ფოთი)

| | |
|---|---|
| ვინჩენცო პიკარდი (იტალია) | 20:10 |
| დონ ბროდჰარსტი (ინგლისი) | 35:16 |
| კადრი კოდრელი (თურქეთი) | 37:17 |
| ანჟეი რჟანი (პოლონეთი) | 27:15 |

**54 კგ ლაშა ოჩიგავა** (ფოთი)

| | |
|---|---|
| ბაშირ ჰასანი (შვედეთი) | 20:29 |

**57 კგ კონსტანტინე კუპატაძე** (თბილისი)

| | |
|---|---|
| მაშიდ შელილი (შვედეთი) | 36:18 |
| რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი) | 29:28 |
| კრჟიშტოფ შჟოტი (პოლონეთი) | მოიგო მე-3 რაუნდში |
| კედაპი ჯელხირი (საფრანგეთი) | წაგო მე-3 რაუნდში |

**60 კგ ავთანდილ კაშია** (ქუთაისი)

| | |
|---|---|
| ამირ ხანი (ინგლისი) | 29:20 |
| დომენიკო ვალენტინო (იტალია) | 17:34 |

**64 კგ კახაბერ ჟვანია** (ფოთი)

| | |
|---|---|
| ალბერტ სტარიკოვი (ესტონეთი) | 33:15 |
| ბორნა კატალინიჩი (ხორვატია) | 24:6 |
| ვილი ბლენი (საფრანგეთი) | 20:31 |

**69 კგ მალხაზ ბერკაცაშვილი** (ვარიანი)

| | |
|---|---|
| სამველ მეტეოვოსიანი (სომხეთი) | 29:22 |
| რობერტო ბელგე (შვეიცარია) | 5:0 |
| ოლეგ საიტოვი (რუსეთი) | წააგო მე-2 რაუნდში |

**75 კგ დავით წიკლაური** (თბილისი)

| | |
|---|---|
| ენდი ლი (ირლანდია) | 18:31 |

**91 კგ დიმიტრი ფუხაევი** (ცხინვალი)

| | |
|---|---|
| კევინ ევანსი (უელსი) | მოიგო მე-3 რაუნდში |
| კუბრატ პულევი (ბულგარეთი) | 10:29 |

**+91 კგ ვლადიმერ ჭანტურია** (ფოთი)

| | |
|---|---|
| ალექსანდრ გრუსევსი (მოლდავეთი) | 10:8 |
| ალექსანდრ პოვეტკინი (რუსეთი) | ტრავმა |

### ევროპის ჩემპიონატი
**პულა (ხორვატია)**
19-29 თებერვალი

**48 კგ**
1 სერგეი კაზაკოვი (რუსეთი)
2 ალფონსო პინტო (იტალია)
3 პალ ბედაკი (უნგრეთი)
3 სალიმ სალიმოვი (ბულგარეთი)

**51 კგ**
1 გეორგი ბალაჩინე (რუსეთი)
2 **ნიკოლოზ იზორია** (საქართველო)
3 რუსლან რახიმოვი (გერმანია)
3 ანჟეი რჟანი (პოლონეთი)

**54 კგ**
1 გენადი კოვალიოვი (რუსეთი)
2 ალი ჰალა (საფრანგეთი)
3 დეტელინ დალაკლიევი (ბულგარეთი)
3 ანჟეი ლიჟჩიკი (პოლონეთი)

**57 კგ**
1 ვიტალი ტაიბერდი (გერმანია)
2 კედაპი ჯელხირი (საფრანგეთი)
3 მიხაილ ბერნადსკი (ბელარუსი)
3 **კონსტანტინე კუპატაძე** (საქართველო)

**60 კგ**
1 დიმიტრი სტილიანოვი (ბულგარეთი)
2 აიდან სელჩუკი (თურქეთი)
3 დომენიკო ვალენტინო (იტალია)
3 გჟულა კატე (უნგრეთი)

**64 კგ**
1 ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი)
2 იგორ პაშჩუკი (უკრაინა)
3 ვილი ბლენი (საფრანგეთი)
3 მუსტაფა კარაგოლო (თურქეთი)

**69 კგ**
1 ოლეგ საიტოვი (რუსეთი)
2 ხავიერ ნოელი (საფრანგეთი)
3 რუსლან ხაიროვი (აზერბაიჯანი)
3 როლანდას იასევიჩუსი (ლიტვა)

**75 კგ**
1 გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი)
2 ლუკას ვილაშეკი (გერმანია)
3 ენდი ლი (ირლანდია)
3 ჯავიდ ტაგიევი (აზერბაიჯანი)

**81 კგ**
1 ევგენი მაკარენკო (რუსეთი)
2 მარიო სივოლია (ხორვატია)
3 ანდრეი ფედჩუკი (უკრაინა)
3 ალექს კუზიემსკი (პოლონეთი)

**91 კგ**
1 ალექსანდრ ალექსეევი (რუსეთი)
2 ვიქტორ ზუევი (ბელარუსი)
3 ვედრან ჯიპალო (ხორვატია)
3 ერთუგრულ ერგეზინი (თურქეთი)

**+91 კგ**
1 ალექსანდრ პოვეტკინი (რუსეთი)
2 რობერტო კამარელე (იტალია)
3 იაროსლავ ჟაკსტო (ლიტვა)
3 სერგეი როჟნოვი (ბულგარეთი)



# ამას ამბობდა ყურანი?
## დუბაიში ჭინკები დაძრწიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

**OPEN 13**
მარსელი. ჰარდი
საპრიზო 593 750 $

### მეოთხედფინალი

**დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — მაქს მირნი (4, ბელარუსი) 6:3, 7:5 (12:10); **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) 7:6 (7:5), 6:4; **არნო კლემანი** (7, საფრანგეთი) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 7:5, 6:3

წლეულს უკვე ორი — ადელაიდური და ოკლენდური — ტურნირის მომგებმა დომინიკ ჰრბატიმ თავის მესამე საამსეზონო ნახევარფინალს უწია. 19 წლის შვედი რობინ სოდერლინგი, ვინაც მარსელში ჩასვლამდე მსოფლიო რეიტინგსიის 57-ე ადგილზე იდგა, პირველად შეხვდა ღონიერ ჩილელ ფერნანდო გონსალესს და აჯობა კიდეც. ტურნირის სამგზის (1993-94, 2000) ჩემპიონ 33 წლის მარკ როსეს კი მეოთხე მარსელურ ტიტულზე ოცნება მასზე წლით უმცროსმა შვედმა იონას ბიორკმანმა წაუმურდლა. სხვათა შორის, ისინი ერთმანეთს უკანასკნელად 1996 წელს ჰალეობაზე შეხვედროდნენ და მაშინ, ისევე როგორც მათ წინა შეხლაშიც, როსეს ემარჯვა.

### ნახევარფინალი

**სოდერლინგი** — კლემანი 6:3, 6:3; **ჰრბატი** — ბიორკმანი 7:6 (11:9), 6:3

მასპინძელთა ჯილა არნო კლემანის ძლევამ ჭაბუკი სოდერლინგი თავის მეორე საკარიერო ფინალში დააბინავა. პირველი ტიტულმატჩი მან გასულ ოქტომბერში, მშობლიურ სტოკჰოლმობაზე ამერიკელ მერდი ფიშთან ითამაშა და — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — მთელი შვედეთის თვალწინ დამარცხდა.

მართალია, კლემანთან შეხლაში მან მხოლოდ რვა ეისი ჩაატყლაშუნა, მაგრამ აშკარად ჩვეულ დონეზე ქვეით მოჩოგნავე ფრანგს არც უკანახაზიდან დაუთმო რამე და სულ რაღაც 71 წუთში გააიმასქნა. არადა, კლემანს იმედი ჰქონდა, რომ 2000 წელს ლიონში, ხოლო შარშან მეცში მოხვეჭილ ტიტულებს წლეულს მარსელურსაც მიაყოლებდა და საკარიერო ფრანგულ ჰეთ თრიქსაც შეჰკრავდა.

დომინიკ ჰრბატიმ კი — აკი ზევითაც მოგაგონებდით — თავის მესამე საამსეზონო ნახევარფინალში ივარგა და, შესაბამისად, ამ მომენტისთვის ყველაზე მეტი, 16 გამარჯვება დაიგროვა. ლეიტონ ჰიუიტი და ენდი როდიკი მხოლოდ 14-14 მოგებას მოიძევენ.

**ბრაზილიის ღია პირველობა**
კოსტა დუ საუიპე. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი $

### ნახევარფინალი

**გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 6:4, 6:3; **აგუსტინ კალიერი** (4, არგენტინა) — ლუის ორნა (პერუ) 6:4, 5:7, 6:1

თავის მეოცე საკარიერო და მეთოთხმეტე სათიხნარო ტიტულისთვის მონადირე გუსტავო კუერტენმა ფინალს, როგორც ივარაუდებოდა კიდეც, გაუჭირვებლად უწია. მისთვის ჩოგნის შებრუნება ნახევარფინალში ვერც ხოსე აკასუსომ შეძლო.



ჟუსტინ ენენ-არდენი არაბული სურით

REUTERS დუბაიდან

### ფინალი

**კუერტენი** — კალიერი 3:6, 6:2, 1:0
მატჩი წვიმამ შეწყვიტა

ამქრის ოდინდელ პირველოსანსა და სამგზის როლანგაროსოსან ბრაზილიელს საქმის ბოლომდე მიყვანა შაბათს წვიმამ არ დააცალა. ამის გამო, ფინალი გუშლამ უნდა გასრულებულიყო. ისე, კუერტენსა და კალიერის აქამდე ოთხჯერ ეთამაშათ და გუგას მეტოქე სამჯერ ეძლია.

**DUBAI DUTY FREE**
მაგარსაფარი. 585 ათასი $

### ნახევარფინალი

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — მეგან შონესი (აშშ) 6:4, 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი) — აი სუგიამა (5, იაპონია) 6:0, 7:5

### ფინალი

**ენენი-არდენი** — კუზნეცოვა 7:6 (7:3), 6:3

მინამ დიდ კორტზე სერენა უილიამსი გამოჩნდებოდეს და ამ გამოჩენის მერე საზეო ფორმას აკრეფდეს, ჟუსტინ ენენ-არდენის ჭინკაობას ზღვარი არ დაედება. ეგ ამბავი კიდევ ერთხელ დადასტურდა დუბაიში, სადაც ამქრის ამჟამინდელმა პირველოსანმა შარშან მოპოვებული ტიტული წარმატებით დაიცვა და საწლევანდლო მონაგართა რაოდენობა სამამდე (სიდნეობისა და მელბურნობის შემდეგ), ხოლო საკარიეროსი სულაც 17-მდე აიყვანა.

18 წლის სვეტლანა კუზნეცოვას, ვინაც ფინალამდე ზედმიწევნით გაუსწორდა სამ განთესილ მეჩოგნეს — ვინუს უილიამსს (3), აი სუგიამასა (5) და ფრანჩესკა სკიავონეს (7), სავარჯიშო მსხალივით არც ფინალში უპასიურია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მესამე ტიტულისა და გამარჯვებულისთვის დათქმული 93 ათასი დოლარის გარეშე დარჩა. თუმცა შინ ის მაინც რიგიან თანხას, 49 500 დოლარსა და ამქრის უსტაბაშის კომპლიმენტებსაც გაიყოლებს — აქაოდა, ძაან გოგო არისო.

ისე კი შეგახსენებთ, რომ ჟუსტინს ტიტულის დაცვა აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2003 წელს ბერლინში მოჰხერხებოდა.

**ლევან ძელაურაძე**



# ქართველ ბერძენ-რომაელებს ათენში წონა აკლდებათ

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს ოლიმპიური ლიცენზიები შარშანდელი წარმატებული წლის შემდეგ სამ წონაშიღა ჰქონდათ მოსაპოვებელი. წლეულს საამისოდ ორადორი შანსი დარჩათ და პირველ ტურნირში საქმის ორი მესამედიც გააკეთეს.

ამ უქმეებზე სერბულ ნოვი სადში ბეგი დარჩიამ მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის წევრები — ირაკლი ჭოჭუა (55 კგ), ბადრი ხასაია (74 კგ) და მირიან გიორგაძე (მძიმე) იახლა.

ნახევარფინალისტები და შესაბამისად, ათენში წამსვლელები შაბათსვე გამოვლინდნენ. მიზანს ჭოჭუამ და გიორგაძემ მიღწიეს. ხასაიამ კი პირველი შეხვედრის წმინდად მოგების შემდეგ ისეთი ტრავმა მიიღო, შეიძლება, ბოლო სალიცენზიო ტურნირიც გამოტოვოს. არადა, 2002 წელს ევროპის საუკეთესო მოჭიდავედ დასახელებულ ფალავანს სპეციალისტები ოლიმპიური მედლის ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად მიიჩნევდნენ.

ათენის საგზურების მებრძოლთა მარათონს წერტილი 13-14 მარტს ტაშკენტური ტურნირით დაესმება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგულარული ჩემპიონატი

# ატლანტაში კვამლი გამოჩნდა

27 თებერვალი

**ფლორიდა 1:4 ვაშინგტონი**
*0:0 1:0 0:4*

1:0 ვან რინი (32), 1:1 უილსი (45), 1:2 მილერი (52), 1:3 სიომინი (57), 1:4 გრირი (60)

**ნიუ ჯერსი 2:3 ატლანტა**
*0:0 2:2 0:1*

0:1 ექსელბი (28), 1:1 ჯიონტა (29), 1:2 შტეფანი (30), 2:2 ელიაში (31), 2:3 ჰიტლი (35)

რა მოხდა „ატლანტაში", ჯერ კარგად არავინ არ იცის. ამ მატჩში გუნდს მოულოდნელად წამყვანი მეკარე ილია კოვალჩუკი დააკლდა. გოლკიპერის ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო წინასწარ არაფერი თქმულა, ამიტომ მატჩი დასრულდა თუ არა შეფიქრიანებული ჟურნალისტები თავკაც ბობ ჰარტლის მიადგნენ. დამრიგებელმა თავი აარიდა პირდაპირ პასუხს, ის კი ამოღერღა, მიზეზი თავად ჰოკეისტია, მე არაო. აშკარად ჩანდა, რომ რაღაც კონფლიქტი მოხდა. მასმედიის წარმომადგენლები ჩვეული სიუჟეტით შეეცადნენ სიმართლის დადგენას და ერთი ფრაზა კიდევ წამოაცდევინეს ჰარტლის — ვარჯიშზე არ იყო და თამაში ამიტომ გამოტოვაო. დაგვეთანხმებით, ვარჯიშის გაცდენა ბოლომდე არ უნდა ხსნიდეს ამ საიდუმლოს, მაგრამ რა გაეწყობა. ალბათ მალე მოეფინება ნათელი ყველაფერს. ფაქტი ის არის, რომ რუსმა თამაში გამოტოვა, მაგრამ მისმა პარტნიორებმა მაინც მოუგეს მრისხანე მეტოქეს და პეტ ბიორნსს ლიგაში მე-1000 მატჩი ჩაუშხამეს.

**ბუფალო 2:4 აილენდერსი**
*0:1 2:2 0:1*

0:1 ჩერკავსკი (11), 1:1 დრური (21), 1:2 ჰამრლიკი (32), 1:3 ვეინჰანდლი (37), 2:3 დიუმონი (38), 2:4 კვაშა (47)

აღმოსავლეთ კონფედერაციაში აღარ არსებობს საპლეიოფო ინტრიგა. უშუალო მდევრის დამარცხების შემდეგ მე-8 ადგილზე მყოფმა „აილენდერსმა" სხვაობა 8 ქულამდე გაზარდა. თან „ბუფალოზე" ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**ჩიკაგო 3:4 კოლუმბუსი**
*1:0 2:2 0:2*

1:0 კოლდუერი (12), 1:1 ჯეკმენი (22), 2:1 ბერარდი (30), 3:1 მაკლინი (37), 3:2 ვიბორნი (40), 3:3 სენდერსონი (52), 3:4 რიჩარდსონი (58)

**ფინიქსი 2:7 ედმონტონი**
*0:1 1:5 1:1*

0:1 რ. სმიდი (9), 1:1 ტეფი (28), 1:2 პიზანი (30), 1:3 ოუთსი (31), 1:4 ჰორკოფი (34), 1:5 მორო (34), 1:6 მორო (38), 1:7 ბერჟერონი (45), 2:7 სუხი (53)

**სან ხოსე 4:2 პიტსბურგი**
*1:0 1:0 2:2*

1:0 სტიუარტი (14), 2:0 მარლო (33), 2:1 კოლცოვი (48), 3:1 პრაისინგი (51), 4:1 კოროლიუკი (55), 4:2 კრაფტი (59)

28 თებერვალი

**ოტავა 7:1 ბუფალო**
*1:1 3:0 3:0*

0:1 მაირი (5), 1:1 ალფრედსონი (20), 2:1 რედენი (32), 3:1 სმოლინსკი (37), 5:1 ბონდრა (46), 6:1 ჰოსა (48), 7:1 ნილი (57)

**ნეშვილი 2:1 რეინჯერსი**
*0:0 1:0 0:1 1:0*

1:0 იუჰანსონი (28), 1:1 ბარნაბი (45), 2:1 ჰატჩინსონი (64)

**ლოს ანჯელესი 2:1 ანაჰაიმი**
*1:0 0:0 1:1*

1:0 ჟიჟკა (15), 2:0 რობიტაილი (49), 2:1 ლუპული (50)

**კოლუმბუსი 5:4 კოლორადო**
*0:2 3:0 1:2 1:0*

0:1 საკიკი (14), 0:2 ლაილსი (17), 1:2 ვიბორნი (35), 2:2 ს. ანდერსონი (36), 3:2 ჟერდევი (40), 3:3 ტანგეი (47), 4:3 მალოტრა (55), 4:4 ჰეიდუკი (58), 5:4 შპაჩეკი (64)

**ბოსტონი 3:2 ფილადელფია**
*0:1 1:0 1:1 1:0*

0:1 რეკი (18), 1:1 პილბერტი (27), 2:1 დონატო (41), 2:2 ჟამნოვი (49), 3:2 მიურეი (62)

**მონრეალი 1:0 კაროლინა**
*0:0 0:0 0:0 1:0*

1:0 რიბეირო (64)

**ტორონტო 3:0 ნიუ ჯერსი**
*3:0 0:0 0:0*

1:0 პილარჟი (10), 2:0 ტაკერი (19), 3:0 პონიკაროვსკი (19)

**ტამპა 4:2 ვაშინგტონი**
*2:0 0:1 2:1*

1:0 მოდინი (10), 2:0 მოდინი (16), 2:1 ზუბრუსი (32), 2:2 სიომინი (49), 3:2 სტილმანი (57), 4:2 სან ლუი (60)

მატჩის დასრულებამდე 11 წამით ადრე ტამპელმა მორტენ სან ლუიმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა და თან 75 ქულით ბომბარდირთა სიას გაუძღვა, სეზონში პირველად.

**ვანკუვერი 2:0 სენტ ლუისი**
*0:0 1:0 1:0*

1:0 ჩუბაროვი (25), 2:0 ოლუნდი (56)



ბუფალოელი დერიკ როისა (მარჯვნივ) და ოტაველი დანიელ ალფრედსონის ავიაკატასტროფა



# დავიღალე, სახლში მინდა!

## პეტერ ფორსბერგს მშვიდი შვედეთი მოენატრა

**აი, სენსაცია!** კოლორადოს სუპერფორვარდმა პეტერ ფორსბერგმა გადაწყვიტა, მომავალ სეზონს სამშობლოში შეხვდეს. შვედეთის გაზეთ „ავტონბლადეტის" შაბათის ნომერი საზოგადოებას ამცნობს, რომ ამის მიზეზი ლოკაუტის რეალური საშიშროებაა. რაკი ლიგის მესვეურების ასოციაციის ლიდერებთან მოლაპარაკებაში წინსვლა არ შეიმჩნევა, ახლა ბევრი ჰოკეისტი ფიქრობს იმაზე, თუ სად გაატარებს მომავალ სეზონს, მაგრამ აქ საქმე სხვაგვარად ყოფილა — ფორსბერგს თურმე სამშობლოში დაბრუნება სურს იმის მიუხედავად, გაიფიცებიან თუ არა ლიგაში. დიახ, სხვა მიზეზებიც შეიძლება არსებობდეს. თუნდაც ის, რომ ოკეანის გაღმა ჰოკეი უფრო კონტაქტურია და ხისტი. შესაძლებელია, ფორსბერგი დაღალა მეტოქეთა უხეშობამ და სულის მოთქმა სურს. წლეულს მან 30 მატჩზე მეტი გამოტოვა სხვადასხვა ტრავმის გამო.

# დიდი მიგრაცია

## დედაქალაქში იმედიც მოკვდა

**„ვაშინგტონი"** მთლად დაიცალა ვარსკვლავებისგან. იარომირ იაგრი წავიდა, პეტერ ბონდრაც და აი, რობერტ ლანგის ჯერიც დადგა. მიუხედავად გუნდის უსუსური თამაშისა, ლანგი დღემდე ბომბარდირთა სიაში მეორე ადგილზეა და, ცხადია, თასზე მეოცნებე გუნდებისთვის იგი, დიახაც, სასურველია. დიდი ხანია, ისიც ცნობილია, რომ დედაქალაქელი ბომბარდირით განსაკუთრებით „დეტროიტი" იყო დაინტერესებული. ჰოდა, პარასკევს ცნობილი გახდა, რომ ჩეხი უკვე „წითელფრთიანია", საკონპენსაციოდ კი ბობოლა გუნდი მხოლოდ ერთ ნორჩ მოთამაშეს და დრაფტზე ორი არჩევანის უფლებას შეელია.

„ლანგს მეტს ვერც მოვთხოვდით. მან ჩვენთან ორი სეზონი ითამაშა და თავისი საუკეთესო თვისებები გამოაჩინა. გვიხარია, რომ ის ისეთ გუნდში მოხვდა, რომელსაც თასის მოპოვების რეალური შანსი აქვს" — თქვა „ვაშინგტონის" გენერალურმა მენეჯერმა ჯორჯ მაკფიმ.

ლანგის კომენტარი კი ასეთია: „სტივ აიზერმანთან, კრის ჩელიოსთან და ბრეტ ჰალთან ერთად გუნდში ყოფნა ჩემთვის უდიდესი პატივია."



## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 19 თებერვალი - 5 მარტი

IX ტური

ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) — ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0,5:0,5
თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
*პეტერ ლეკომ (უნგრეთი) დაისვენა*




# გარის ბაქოშინი აუცარდა

ამ ახალგაზრდებმა სულ დაკარგეს უფროსების პატივისცემა. არავითარი რიდი, რა კრძალვა რის მოწიწება, კასპაროვთან შეხვედრაში ახალგაზრდა მოჭადრაკეები, რომელებიც მის ლეგენდებზე და პარტიებზე იზრდებოდნენ, არანაირ შიშს არ განიცდიან. ამის მაგალითად ლინარესიც გამოდგება, სადაც უკვე მეორე წელია, „ცხვირმოუხოცავი" აზერბაიჯანელი თეიმურაზ რაჯაბოვი არცხვენს პლანეტის ნომერ პირველ მოჭადრაკეს.

რაჯაბოვმა მსოფლიოს მე-13 ჩემპიონს შარშან შავი ფიგურებით მოუგო და მას შემდეგ ზედიზედ სამ შეხვედრაში ყაიმებით მოუმთავრა პარტია. აღსანიშნავია, რომ ორივე დიდოსტატი ბაქოშია დაბადებული.

მეცხრე ტურში დიდმა და პატარა ბაქოელმა შოტლანდიური პარტია გაითამაშეს და დაახლოებით ერთი საათი დაფაზე ფიგურების ხოცავის მეტი არაფერი უკეთებიათ. მე-19 სვლაზე კასპაროვს მეფე, ეტლი, მხედარი და შვიდი პაიკი შერჩა, რაჯაბოვსაც ყველა ეს ფიგურა ერთით ნაკლები პაიკით.

შეტაკების შემდეგ მეტოქეები დროებით მოეშვნენ და სტრატეგიული განვითარება დაიწყეს, თუმც ახალგაზრდა აზერბაიჯანელს სიახლი კვლავ აუჩქროლდა და უფროსს მიუხდა მორიგ შეტაკებაში უკვე გამოცდილებამ იმძლავრა და „ყოჩაღ-ჩინა" თემური წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა, თუმც გაუმართლა, რადგან კასპაროვს საათზე მცირე სათამაშო დრო რჩებოდა და იძულებული გახდა, მორიგ ყაიმზე დათანხმებულიყო.

როგორც შარშან, კასპაროვი წლეულსაც შეცდა და რაჯაბოვთან რევანში ვერ აიღო. გარის მეგობრები მიზეზს ვერ ხსნიან, თუმც აღნიშნეს, ადრე იგი ასეთ უპირატესობას, როგორიც ამ ყმაწვილთან ჰქონდა, ხელიდან არ გაუშვებდაო.

დარჩენილი ორი შეხვედრიდან გამოსარჩევი შიროვ-კრამნიკის შეხლა იყო. მასპინძელი თავიდანვე დიდი ძალებით ეკვეთა რუსს, თუმცა ბოლომდე ვერ ივარგა და 32-ე სვლაზე მეტოქეს ქულა გაუყო.

მეცხრე ტურის შემდეგ კასპაროვზე ტოტალიზატორებსაც გაუცრუვდაფ იმედები, შესამჩნევად დაუწიეს კოეფიციენტი.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 4,5 ქულა/7 თამაში |
| 2 | ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) | 4,5/8 |
| 3 | გარი კასპაროვი (რუსეთი) | 4,5/8 |
| 4 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 4/8 |
| 5 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 3,5/8 |
| 6 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 3/7 |
| 7 | თეიმურაზ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 3/8 |



REUTERS

# რაკეტასავით

სამხრეთ ბავარიაში გახურებულა ქალთა მსოფლიოს თასი მოციგავეთა შორის. დიახ, რაკეტასავით მოჰქროდა ყინულის გზაზე კანადელი ლინდსი ოლკოკი (სურათზე), თუმცა იქ მასზე სწრაფნიც აღმოჩენილან — პირველობა გერმანელ დიანა სარტორს მოუგია.

# სათვალოსანი გოგოები საათებით

კანადაში გახურებულა ქერლინგი (ყინულზე ქვის გაცურება და ცოცხით მიდევნება), დამწუხრებულან ალბერტას გუნდის წევრები შერონ კლეიბრონსკი და ემი ნიქსონი. ალბერტელებისთვის სასკაჩევანელებს მოუგიათ და პლეი ოფამდე არ მიუშვიათ.



REUTERS



REUTERS ლას ვეგასიდან

# მორალესის მესამე

მსუბუქთა დიდი კრივი ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“: ჩემპიონ ხესუს ჩავესს მძიმე საღამო უდგას. მექსიკელი ერიკ მორალესი ამ ამერიკელ მექსიკელს ამარცხებს და მესამედ ხდება მსოფლიოს ჩემპიონი.

# საფეხბურთო მონეტა

უკრაინამ 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი მონეტა გამოუშვა. 2006 წლის მსოფლიოს თასი გერმანიაში უნდა გაიმართოს, მონეტის გამოშვება კი უკრაინას მოუსწრია. მონეტა მოვერცხლილია და 2 ჰრივნის ფასისაა, რაც 40 ცენტს უდრის.






REUTERS



REUTERS ტუნისიდან

# ახალი სიტყვა ლემერისათვის

რახან ტუნისის ნაკრები აფრიკის ჩემპიონი გახდა, ფრანგ მწვრთნელს როჟე ლემერს მრავალგვარი პატივი ერგო. საგანგებოდ მისთვის გამართულ დარბაზობაზე მას განთქმულმა ეგვიპტელმა ფანოდმა ალი სებაიმაც დაუმღერა. სხვაფრივ კი, უკვე ორი კონტინენტის ჩემპიონ ფრანგს ტუნისელები ახალ, უფრო სარფიან კონტრაქტს სთავაზობენ.

# დონია მარია

გუსტავო კუერტენი დღეს ყველაზე ცნობილი ბრაზილიელი ჩოგბურთელია, ოღონდაც მისი განთქმულობა ნამდვილად ფერმკრთალია ამ მოხდენილი დეიდას მიღწევებთან შედარებით. იყო დრო და მომენტი, რომ დონია მარია ესტერ ბუენო უიმბლდონის დიადი გოგონა იყო: მას სამჯერ (59/60/64 წ.წ.) მოუგია ქალთა შეჯიბრი, ხუთჯერ კი წყვილებისა (58/60/63/65/66).



REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი პირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge